



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გავითი

# შირაკი

## SHIRAKI

www.opentext.ge

№15 (9.531)

5 მაისი 2012 წელი

გამოცემის 1937 წლიდან

ყოველკვირეული გამოცემა

ფასი 50 თეთრი

## გერმანია-დედოფლისწყარო: თანამშრომლობა ბრძოლაში



2 მაისს დედოფლისწყაროს გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები ეწვივნენ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებადი პროექტის — „კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი დეგრადირებული ლანდშაფტების აღდგენა საქართველოში“ — ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრა გერმანულ დელეგაციასა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. სტუმრებს შორის იყვნენ: პროგრამის „ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ ხელმძღვანელი დოქტორი პეტრა შტრემ-

პლატი, პროგრამის დირექტორის პირადი წარმომადგენელი მარია-ჟოზე პოდი, პროგრამის დირექტორი მენეჯმენტის საკითხებში ადოლფ კლოკე-ლეში, პროგრამის კოორდინატორი საქართველოში აკაკი რუხაძე, ასევე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) ორგანიზაციის წარმომადგენლები: დიტერ მიულერი და გიორგი კოლბინი.

გერმანელი სტუმრები, პირველ რიგში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროგრამით შექმნილ სტრუქტურულ

ერთეულს — მოქალაქეთა მომსახურების, საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილებას ეწვივნენ და მის ახალ ხელმძღვანელს ეკა ციმაკურიძეს გაეცნენ, გაესაუბრნენ განყოფილების დანარჩენ თანამშრომლებს და მოისმინეს ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. ისინი სტატისტიკით დაინტერესდნენ. კერძოდ, რამდენი ადამიანი აკითხავს საშუალოდ დღეში მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს და რა წარმოადგენს მათ ძირითად პრობლემას. როგორც მმბ-ს თანამშრომლებმა განმარტეს, დღეში

ნეტში გაგრძელდა. სტუმრებმა და მასპინძლებმა ოთხნობიანი თანამშრომლობის, პროექტის მიხედვით განხორციელებული საქმიანობების და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრეს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა ფიროსმანაშვილმა, საკრებულოს აგარაულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ გელა თეთრაულმა, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ალექსანდრე ალუღიშვილმა მადლობა გადაუხადეს გერმანულ მხარეს განუხლები დახმარებისათვის.

პროგრამის დირექტორი დაინტერესდა იმ საკითხით, თუ რომელი სფეროა პრიორიტეტული დედოფლისწყაროსთვის და ინვესტიციის მოზიდვას სად ისურვებს ჩვენი რაიონი. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობისთვის შემოსავლის მთავარ წყაროდ მინა რჩება, ამიტომაც, ბუნებრივია, რომ დედოფლისწყაროში ინვესტიციის განხორციელება და გაძლიერება სოფლის მეურნეობის დარგს სჭირდება. მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია, ასევე, ადგილობრივი სათელე მეურნეობის შექმნა და ახალი ტექნიკის შემოყვანა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საძოვრის ჭარბი ძოვებისა და საზღვრის დაცვის საკითხების მოგვარებაზეც. სამომავლო თანამშრომლობაზე თავისი მოსაზრებები გამოთქვა გერმანულმა მხარემაც. ადოლფ კლოკე-ლეშმა განაცხადა, რომ ნელს აღინიშნება საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობის 20 წელი. „ახალგაზრდა დემოკრატიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის ერთი ფანჯრის პრინციპით ურთიერთობა. მოხარული ვარ, რომ ამ პროექტმა დედოფლისწყაროში გაამართლა“ — აღნიშნა მან.

შეხვედრის შემდეგ სტუმრები შირაქის ველისკენ გაემართნენ და პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები მოინახულეს.

ინგა შიოლაშვილი

## კარანტინი არბოშიკში გამოსხადდა

მტაცებელს, რომელმაც 2 მაისს, გვიან ღამით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში 54 წლის ანა ჯინაშვილი დაკბინა, ლაბორატორიული კვლევის შედეგად ცოფი დაუდგინდა. ინფორმაცია გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს მთავარმა ვეტერინარმა მიხეილ ქევიციანიმაც დაუდასტურა. მისი თქმით, 4 მაისიდან სოფელ არბოშიკში კარანტინი გამოცხადდა.

„თბილისიდან მიღებული პასუხის თანახმად დადასტურდა, რომ მტაცებელი ცოფის მატარებელი იყო, დედაქალაქიდან უკვე მივიღეთ ვაქცინა და სო-

ფელ არბოშიკში კარანტინი ცხადდება... 4 მაისიდან ამ კერაში იძულებითი ვაქცინაცია განხორციელდება, 2 კილომეტრის რადიუსში სპეციალურ აცრებს ჩავატარებთ.“ — აღნიშნავს ვეტერინარი და მცენარეთა დაცვის ადგილობრივი სამსახურის ხელმძღვანელი მიხეილ ქევიციანი.

მტაცებლის ლეში გამოსაკვლევად სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურმა თბილისში მას შემდეგ გადაიტანა, რაც ქალბატონმა ის თავდასხმის დროს ხელით მოგულა.

როგორც დაზარალებულმა განაცხადა, მას ნაკბენი აქვს ფეხზე, ასევე დაკანრულია სახის არემიცი. ქალს პირველადი დახმარება სოფლის ექთანმა აღმოუჩინა, შემდეგ კი სასწრაფო დახმარების სამსახურის ავტომანქანით დედოფლისწყაროს რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგი გია ბოსტოლანაშვილი აცხადებს, იმის გამო, რომ ნაკბენები ქალბატონს სახის არემიცი ალენიშნებოდა, მას იმუნოგლობულინის ვაქცინაცია გაუკეთდა.

შეგახსენებთ, გასულ კვირას კარანტინი გამოცხადდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კიდევე ერთ სოფელში. სოფელ ზემო ქედში ტერიტორიაზე ინფექციური დაავადების — ცოფის გამოვლენის გამო ორთვიანი კარანტინი დაწესდა და სოფელი არაკეთილსაიმედო ზონად გამოცხადდა.

საშიმ ინფექციურ დაავადებასთან საბრძოლველად დედოფლისწყაროში 7 კაციანი კომისია შეიქმნა.

ილია მარტყოფლიშვილი

**უმრავლესობის ლიდერები-ხალხთან**

33.3

**ამომრჩეველთა სიების დაზუსტება დაიწყო**

33.3

**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიკითხავთ!

[www.dedoplistskaro.ge](http://www.dedoplistskaro.ge)

# სოციალურად დაუცველ ოჯახებს ხუთ წელიწადში ერთხელ გადაამოწმებენ

სოციალური სუბსიდების სააგენტო სოციალურად დაუცველთა ბაზაში არსებული ოჯახების მდგომარეობას ხუთ წელიწადში ერთხელ გადაამოწმებს. აქამდე მოქმედი ნორმით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სარეიტინგო ქულასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტოს ოჯახები ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გადაამოწმებინა.

ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ ახლახან განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კი, ამიერიდან აღნიშნული გადაამოწმება ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს.

როგორც გაზეთ „შირაქს“ ჯანსაღისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პრეს-ცენტრიდან აცნობეს, მთავრობის დადგენილებაში ცვლილებები უკვე ამოქმედდა.

# ახალი ინიციატივები სამედიცინო სისტემაში

ახალი სადაზღვევო პაკეტით, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოს მხრიდან სრულად, 100 %-ით ანაზღაურდება. სრულად დაიფარება ასევე აბულატორიული მომსახურება.

“პაციენტის მხრიდან 20%-იანი თანადაფინანსება იქნება მხოლოდ კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე, რენტგენოგრაფიასა და მამოლოგიაზე. ქირურგიული ოპერაცია დაფინანსდება 15 ათასი ლარით”, - აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ პირველი სექტემბრიდან სახელმწიფო ასაკით პენსიონერებისა და 0-იდან 5 წლის ჩათვლით ბავშვების დაზღვევას იწყებს. საერთო ჯამში, დამატებით 800 ათასი კაცის დაზღვევა მოხდება.

# ეროვნულ ჰარკებსა და აღკვეთილებში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების დადგმა დასაშვებია გახდება

ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონასა და აღკვეთილის ცალკეულ უბნებში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების დადგმა დასაშვებია ხდება. შესაბამისი ცვლილება დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონში შედის, რომლის ინიცირება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მოხდა. საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის.

კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრება ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემისათვის განუყოფელი მომსახურების საფასური, როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. კანონპროექტით ასევე რეგულირდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივ-სამტატო იარაღის შენახვის, გამოყენებისა და ტარების წესი.

# დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს იარაღის ტარების უფლება ექნებათ

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებს, იარაღის შენახვის, ტარების და გამოყენების უფლება ეძლევათ. შესაბამისი ცვლილება “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” კანონში შედის.

კანონპროექტით დგინდება, რომ სააგენტოს თანამშრომლებს გამიზნული გასროლის უფლება ექნებათ. ასევე, მათ უფლება ექნებათ, აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენონ სამსახურებრივ-სამტატო იარაღი შემდეგ შემთხვევებში: მოქალაქის ან თავის ისეთი საფრთხისაგან დასაცავად, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

იარაღის გამოყენება დაუშვებელი იქნება წინასწარი შეცნობით ორსულთა, მცირეწლოვანთა და ინვალიდთა მიმართ. მათდამი იარაღის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დასაშვებია, თუ ისინი სააგენტოს თანამშრომელს შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს და ან ისეთ შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ თანამშრომელს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და თანამშრომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

# რეფორმა მუზეუმ-ნაკრძალებში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებულ მუზეუმ-ნაკრძალებში რეფორმა განხორციელდა. სამუზეუმო საქმიანობის ეფექტურად წარმართვისა და საზოგადოების დასაქმების მიზნით, ჩატარებული კონკურსის შედეგად მთელი საქართველოს მასშტაბით, რამდენიმე ათეული ახალგაზრდა დასაქმდა.

მუზეუმის ახალი თანამშრომლები 2-ლიან ტრენინგზე გაეცნობიან კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობას, მონიტორინგის სპეციალისტის ძირითად მოვალეობებსა და უძრავ-მოძრავ ძეგლთა ატრიბუციისა სააღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნის წესებს.

დასაქმებული ახალგაზრდები მთელს საქართველოში განახორციელებენ ძეგლთა მონიტორინგს, შეადგენენ უძრავ-მოძრავ ძეგლთა მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციას და დადგენენ ძეგლის (GPS) კოორდინატებს.

მონიტორინგის ჯგუფი უფლებამოსილი იქნება ექსპედიციისას უნებართვო სარესტავრაციო ან არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ ოპერატიული რეაგირებისთვის აცნობოს შესაბამის სამსახურს. მონიტორინგის ჯგუფები აღჭურვილები არიან შესაბამისი სამუშაო ტექნიკით. უახლოეს მომავალში კი მათთვის სამსახურებრივი სპეცფორმები შეიქმნება. მონიტორინგის ჯგუფების საქმიანობა გავრცელდება მუზეუმ-ნაკრძალის და მის დაცულ ტერიტორიაზე, ასევე ძეგლთა დაცვის სამოქმედო არეალში რომელიც განსაზღვრული და დადგენილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ.

# მედიის თავისუფლების ხარისხით საქართველო სამი ადგილით დაწინაურდა

საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-მა მედიის თავისუფლების ხარისხის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში 197 ქვეყანას მოიცავს. საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების რიგში, 112-ე ადგილზეა. Freedom House-ის წინა ანგარიშში საქართველო 109-ე ადგილზე იყო.

Freedom House -ის ანგარიშში საუბარია საქართველოში განხორციელებულ პოზიტიური ცვლილებებზე, კერძოდ: ახალი პუბლიკაციების გამოქვეყნების სიხშირეზე, მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის გამარტივებასა და მედიის მფლობელების გამჭვირვალობაზე.

ანგარიშში პირველ სამ ადგილს ფინეთი, ნორვეგია და შვედეთი იკავებენ, ხოლო ბოლოს - კამერუნი.

# მოზარდზე ძალადობას სახალხო დამცველი გამოიკვლევს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დედოფლისწყაროში, სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები 13 წლის გოგონაზე გასულ წელს განხორციელებული ძალადობის ფაქტით დაინტერესდა და საქმის შესწავლა დაიწყო. ინფორმაციას გაზეთ „შირაქთან“ საუბარში მოზარდის დედაც ადასტურებს. ტელეკომპანია „იმედმა“ ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ გაიხსენა 28 აპრილს, გადაცემაში „სპეციალური რეპორტაჟი“.

„სახალხო დამცველის აპარატიდან გუშინ ორჯერ დაგვირეკეს. მათ მითხრეს, რომ საქმეში ჩაერთვებიან და დეტალებს შეისწავლიან. უახლოეს მომავალში კი ჩვენს სოფელში ჩამოსვლასაც გეგმავენ და სიმართლის დადგენაში დაგვეხმარებიან.“ — აცხადებს მოზარდის დედა.

როგორც გოგონას დედა აღნიშნავს, მან დახმარება სოფელში ჩამოსულ ოპოზიციონერს, პარტია „თავისუფალი საქართველო“ ლიდერს, კახა კუკავას სთხოვა, რომელიც ოჯახს სახალხო დამცველთან შეამდგომლობას დაპირდა.

როგორც ცნობილია, დედოფლისწყაროს რაიონის საზღვრისპირა სოფელში მცხოვრებ 60 წლის იროდი ბაკურიძეს მეზობლები 13 წლის გოგონას გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებენ. მეზობლები, გოგონას მონათხრობზე დაყრდნობით, ამბობენ, რომ მამაკაცმა არასრულწლოვანი ჯერ ოთახში ჩაკეტა, შემდეგ კი ძალის გამოყენება სცადა. გოგონას განმარტებით, მამინ, როცა მამაკაცმა საცვლების გახდა დაიწყო, გოგონამ მას ხელზე უკბინა და სახლში გაიქცა.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მოზარდის გაუპატიურების მცდელობა ოფიციალურად არ დასტურდება. ამ განცხადებას შს სამინისტროს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში აკეთებენ.

# მოსწავლეებმა „რუსთავი 2“-ის ოფისი დაათვალიერეს



ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ოფისში ექსკურსია მოაწყეს. მოზარდებმა სამაუწყებლო კომპანიის სტუდიები და ნამყვანები მონახულეს. როგორც სკოლის დირექტორი მათ ლაპიაშვილი „შირაქთან“ საუბარში აცხადებს, ჟურნალისტიკის სამზარეულის გაცნობის სურვილი მოსწავლეებს გაუჩნდათ.

„ჩვენი პრიორიტეტი, გარდა საგანმანათლებლო მიღწევებისა, არის ჩვენი მოსწავლეების მსოფმხედველობის გაფართოება, თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა, პროფორიენტაცია და სხვა სამოქალაქო სკითხვები. როგორც იცით, სკოლაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე კლუბი. მათ შორის ყველაზე აქტიურია სამოქალაქო კლუბი.“

ამ კლუბის წევრებთან ერთად ვახორციელებთ უამრავ აქტივობას. ორჯერ ვიყავით სტუმრად პარლამენტში და პრეზიდენტის რეზიდენციაში. ამ ეტაპზე მოსწავლეები დაინტერესდნენ, თუ როგორ მუშაობდა ტელევიზია და როგორ მზადდებოდა პოპულარული გადაცემები. სკოლის ადმინისტრაციამ მიმართა თხოვნა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ადმინისტრაციას, რის შედეგადაც ჩვენი სკოლისთვის დაუშვეს შემეცნებითი ექსკურსია „რუსთავი2“-ის ოფისში. საამოყენებელი მივიღეთ მიხევეა და დათქმულ დღეს ვენვიეთ „რუსთავი2“-ს. ეს მოსწავლეების დიდი სურვილი იყო და ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით.“ — განუცხადა „შირაქს“ №1 საჯარო სკოლის დირექტორმა მათა ლაპიაშვილმა.

„ტელევიზიაში ძალზე გულთბილი და კეთილგანწყობილი გარემო დაგვხვდა. 2 საათის განმავლობაში გიდი დაგვეყვოდა და გვაცნობდა ტელევიზიის მუშაობის სპეციფიკას და სტუდიურ კულტურებს, დავესწარი პირდაპირ ეთერს, სხვადასხვა გადაცემების მზადებას.“ — აცხადებენ პირველ სკოლაში.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლეთა ნაწილს ტელევიზიის შიდა სამზარეულო მოეწონა, თუმცა რომელიმე მათგანს კარიერის ჟურნალისტიკაში გაგრძელების სურვილი ღიად არ დაუფიქსირებია.



ილია მარტყოფლიშვილი

# უმრავლესობის ლიდერები - ხალხთან

30 აპრილს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოდებერიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ბოტკოველი, ასევე პარლამენტის წევრები: კახა სუხიშვილი და მაჟორიტარი დეპუტატი დედოფლისწყაროდან ავთანდილ ლეკაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების არბოშიკისა და ოზაანის მოსახლეობას შეხვდნენ.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, შეხვედრაზე დაყენებული პრობლემები, ძირითადად, სოციალურ დახმარებებს, ჯანდაცვის პროგრამებს, მექანიზაციის ცენტრის მომსახურებას, წყალმომარაგების, შიდა გზების პრობლემებს, საიჯარო მიწების გადასახადის გადავადებას, დასაქმებას და კერძო პრო-

ბლემებს შეეხებოდა. პეტრე ცისკარიშვილმა სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტებად გამოყო ჯანდაცვა და სადაზღვევო პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა-მექანიზაცია და ირიგაცია, დასაქმება და ამ მიმართულებით განათლებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

შეხვედრის დასასრულს, ადგილობრივებთან კერძო საუბრები გაიმართა, მოსახლეობამ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე თავდაც ისაუბრა და პოლიტიკოსების განმარტებებიც მოისმინა.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერების ქიზიყურ სოფლებში ვიზიტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი და სხვა ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ.



## მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს ახალი უფროსი ჰყავს



**მინი დოსიე: ეკატერინე ციმაკურიძე დაიბადა 1974 წლის 19 დეკემბერს ქ. თბილისში, დაამთავრა თბილისის 126-ე საშუალო სკოლა, 1996 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1996-2007 წწ. მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში, 2011-2012 წწ. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში უფროს სპეციალისტად, 2012 წლის 4 აპრილიდან გამგეობის ადმინისტრაციული**

**სამსახურის და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსია.**

დედოფლისწყაროს მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — ეკატერინე ციმაკურიძე. ის წლების განმავლობაში განსხვავებულ სტრუქტურაში მუშაობდა. 17 წლიანი „ჩაკეტილ სტრუქტურაში“ მუშაობის შემდეგ მოქალაქეებთან უშუალო ურთიერთობა მისთვის საინტერესო სიახლეს წარმოადგენს.

იგეგმება თუ არა რაი-

მე სახის სიახლე მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში? — ამის გარკვევას გაზეთი „შირაქი“ შეეცადა. ახალი ხელმძღვანელი თვლის, რომ მშპ საკმაოდ სრულყოფილი სტრუქტურული ერთეულია. უახლოეს მომავალში იგეგმება ინფორმაციის გაცვლის სისტემის დახვეწა, რაც ინტერნეტ-მომსახურების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ეს სიახლე კიდევ უფრო დადებითად აისახება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

## ამომრჩეველთა სიების დაზუსტება დაიწყო

პრეზიდენტ სააკაშვილის 15 ნოემბრის ბრძანებულებით შეიქმნა 21-წევრიანი კომისია, რომელმაც მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა სიების დაზუსტება უნდა უზრუნველყოს 2012 წლის 1 ივლისამდე.

კომისიაში თანაბარი წარმომადგენლობით შედიან მმართველი პარტიის, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 7—7 წარმომადგენელი.

13 ოქტომბერს საარჩევნო კოდექსში მიღებული ცვლილებების თანახმად, კომისიის თავმჯდომარე ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა იყოს. ხალხის აზრით, ეს ცვლილება მოსახლეობის ნდობის გამყარებას ემსახურება.

კომისია გადაწყვეტილებებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საერთო რაოდენობის მესამედით მიიღებს. კანონის თანახმად, კომისია ამომრჩეველთა სიების დაზუსტებისთვის სხვა საშუალებებთან ერთად ასევე იხელმძღვანელებს კარდაკარ გადამონმების პრინციპით, ხოლო მის მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილი სია ამომრჩეველთა ერთიანი სია იქნება. კომი-

სია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტის „კარდაკარ“ წამოწყებას სათავეში სიების დაზუსტების კომისია უდგას.

ამომრჩეველთა სიებს სულ 11 100 რეგისტრატორი გადაამონმებს. სიების დაზუსტება ამომრჩეველთა პირადობის მონმობების

საფუძველზე უნდა მოხდეს. გარდა გარდაცვილილი და საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისა, რეგისტრატორებს ევალებათ ინფორმაციის დაზუსტება ბინებზე მინერული პირების შესახებაც.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მიზნით პროექტი „კარდაკარ“ დე-

დოფლისწყაროშიც დაიწყო. სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წარმომადგენელი „ახალი მემარჯვენეების“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე სოსო ბეჟანიშვილია.

— დედოფლისწყაროში ამომრჩეველთა სიების

ჩაუტარდათ ტრენინგები. „კარდაკარ“-ის პრინციპი ასეთი გახლავთ: 500 -1000 კაციანი საარჩევნო უბნის სიების გადამონმებას ორი ადამიანი ახორციელებს, 1000-1500-ისას კი - 4 რეგისტრატორი.

— როგორ გგონიათ, საარჩევნო კოდექსში შეტანილი

დაზუსტების პროცესს 74 ადამიანი აწარმოებს. რეგისტრატორების შერჩევა კონკურსის საფუძველზე მოხდა და დედოფლისწყაროში მოქმედი თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შერჩეულ კანდიდატებს, ცოდნის გაღრმავების მიზნით,


ცვლილება, რომელიც სიების დაზუსტების კომისიაში ოპოზიციური პარტიების ჩართვას ითვალისწინებს, მოაგვარებს ქართულ პოლიტიკაში თითქმის „აქილევსის ქუსლად“ ქცეულ საარჩევნო სიებში მკვდარი სულების თემას?

—სია ცოცხალი ორგანიზაცია და ის შეიძლე-

ბა ნებისმიერ მომენტში შეიცვალოს, მაგრამ იმისი გარანტია ნამდვილად გაჩნდა, რომ მაქსიმალურად გადამონმდება ყველა ამომრჩეველი და სიებიც დაიხვეწება. ამ პროექტის მეშვეობით დასრულდა ის პერიოდი, როცა ამომრჩეველთა სიის ფორმირება ერთი პარტიის მიერ ხდებოდა, ახლა უკვე სიების ფორმირებაში ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი მონაწილეობენ, მეთოდოლოგია კი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არის შემოთავაზებული. ამ შემთხვევაში ჩვენ ინფორმაციას თავად მოქალაქეები გვანვდიან. ცოტა ხნის წინ დაიწყო სოფლებში ქუჩების ნუმერაცია. ეს ძალიან კარგი სიახლეა, მაგრამ პროცესი ცოტა ადრე რომ დაწყებულიყო, გაცილებით გაადვილდებოდა ამომრჩეველთა სიების გადამონმებაც.

\* \* \*

სიების დაზუსტება რამდენიმე ეტაპად მოხდება. ამომრჩეველთა პირადი მონაცემები 10 ივნისამდე დაზუსტდება, შედგენილი დოკუმენტაცია ივლისში გადამონმდება, ზუსტი სიები კი აგვისტოში გამოქვეყნდება.



# ახალგაზრდა ხელოვანი მომავლის გზაჯვარედინზე



ჩვენს ქუჩებში დადის ერთი ჩვეულებრივი გოგონა, რომელიც თავისი ღიმილით, სიცოცხლით სავსე თვალუბრით და მკვირცხლი გარეგნობით არე-მარეს ალამაზებს. თუმცა, ეს არაა საკმარისი შტრიხი მის შესაცნობად - ამ ცქრიან-ლა გოგონას მიღმა ღრმა, საინტერესო, სათნო და ლამაზი სულის ადამიანი იმალება. ის შემოქმედია და საოცრად ნატიფი გემოვნება აქვს. 17 წლის ლელა ჩალახეშაშვილი წელს აბიტურიენტიცაა. გამოცდების ეროვნულ ცენტრში უკვე დარეგისტრირდა და პირველ ხუთეულში დიზაინის ფაკულტეტის მქონე უმაღლესი სასწავლებლები ჩაწერა, დანარჩენი ათი კი სხვა პროფესიებით შეავსო. დიზაინერობა მისი ოცნებაა. ლელას გრანდიოზული გეგმები აქვს და, თუ თავისი მიზნები ბოლომდე განახორციელა, მომავალში მისგან სერიოზულ განაცხადს უნდა ველოდეთ.

მინი დოსიე: ლელა ჩალახეშაშვილი დაიბადა 1994 წელს, დედა ქეთევან ჩალახეშაშვილი პროფესიით გეოგრაფია, ის დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღის დირექტორია, მამა დიმიტრი ჩალახეშაშვილი ინდემნარმე გახლავთ. ლელას ჰყავს და-ანა, და ძმა-კახა. ლელას დიდი წვლილი მიუძღვის №2 საბავშვო ბაღის ინტერიერის დიზაინის გაფორმებაში, სადაც გაზეთმა „შირაჰმა“ მისი ნიჭი შენიშნა.

თითქმის უსარგებლო და უსულო ნივთებს, თავისი ფანტაზიისა და ნატიფი ხელების წყალობით სულს შთაბერავს და თვალისმომჭრელ აქსესუარებად აქცევს. მუშაობს ყვალაფერზე-თაბაშირზე, ბისერებზე, აბრეშუმის ნაჭერზე, ძაფზე, ტყავზე, ხელსახოცებზე და თქვენ წარმოიდგინეთ, შეუძლია, თუნდაც ერთი ჩვეულებრივი ნაჭრისგან არაჩვეულებრივი ყვავილი ან ბროში შექმნას. ლელას ხელნაკეთი ნივთები გაჩუქებული აქვს მეგობრებსა და ახლობლებში, თუმცა, მისი კოლექცია მინც უამრავ ნიმუშს მოიცავს. იგი საკუთარი ხელით იკერავს ზაფხულის კაბებს, სარაფნებს და ასევე ქმნის ძალიან ლამაზ ჭაღებს. მის ოთახში დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარება ლამაზი და განსხვავებული ჭაღი, რომელიც ლელას შექმნილია. ის წარმოადგენს „კრახმალში“ ამოვლებული ძაფისგან შექმნილ დიდ ბურთს, რომელზეც დასმულია ორი ასევე ხელნაკეთი ყვავილი.

- „როცა ჩემს მიერ შექმნილი ნივთების გარემოცვაში ვტრიალებ, დიდ სიამოვნებას ვიღებ. ჩემთვის გადასაცემი არაფერი არსებობს, თუნდაც ქსოვილის პატარა ნაჭერი. ყველა უსარგებლო ნივთში რაღაცას ვხედავ და ფანტაზია თავისით იბადება.“ - ამბობს ლელა და თავის ნაკეთობებს საითაოდ გვათვალისწინებს. მისი შემოქმედების ნაყოფია უზარმაზარი სოკო, რომელიც სამ ტოტად გატოტვილი კუნძის მონაჭერის და ზედ ჩამოცმული ძველებური რკინის ჯამბებისგან შედგება, ჯამები ღია ყავისფრად და შეღებილი და კოპლები აქვს გაკეთებული ისე, რომ თითოეული მათ-

განი სოკოს იმიტაციას ქმნის. საოცარი ფანტაზიაა, ტყეში ამოსული უზარმაზარი სოკოების ხილვა მართლაც ახარებს მნახველის თვალს. თიხის საყვავილეში კი ხელოვნური ლამაზი ყვავილია ამოტოტვილი: „ამ ყვავილის ტოტები მაგარი სირმით შევქმენი, მასზე ძაფი დავახვიე, შემდეგ შევლებე, ყვავილებად კი სირმაზე წამოცმული კოლგოტის ნაჭერი გამოვიყენე, შემოდგომის ფერებშია გადარეგულირებული ყვავილი და მას გიორგინებს ვეძახი.“ - გვიხსნის ლელა და წინ უთვალავ სამაჯურს, ლურჯი აბრეშუმის ვარდებით გაკეთებულ ყელსაბამს, ბისერებით განწყობილ თმის სამაგრს, ბეჭედს, ტყავისა თუ კოსმეტიკის ჩანთას და კიდევ უამრავ შემოქმედების ნიმუშს გვიშლის. ყურადღებას იქცევენ ჩარჩოში ჩასმული კომბინირებული სურათები, რომელშიც ასევე მასალის მრავალფეროვნებითაა გამორჩეული და ფრიად საინტერესო ესკიზებს ქმნის. „მიყვარს ლამაზად და გემოვნებიანად ჩაცმა. შესაძლოა, უბრალოდ და სადად ჩავიცვა, მაგრამ სახლიდან გასვლისას ჩემი ხელით გაკეთებულ ერთ მოსართავს მაინც დავამატებ ხოლმე, რომელიც სრულიად ცვლის და ახალისებს ჩემს სადა ჩაცმულობას. ხშირად ვალამაზებ დედის გარდერობსაც. მაგალითად, გუშინ მას ახალი კაბა გამოვუზავინე, რომელიც მშვენიერი შეკერილი იყო, მაგრამ თითქოს რაღაც აკლდა. მე მას ერთი ვარდი შევუკერე და გულთან დავუმაგრე, რამაც მთლიანად შეცვალა და გაამდიდრა ერთი შეხედვით სადა კაბა.ახლა ის გამოსასვლელ კაბად იქცა. ჩემს მიერ შექმნილ აქსესუარებს აგრეთვე ვჩუქნი მეგობრებსაც, რომლებიც სიამოვნებით ატარებენ მას და ძალიან მოსწონთ.“

- ლელა, როდის გაგიჩნდა ასეთი ლამაზი ნივთების კეთების სურვილი და რას განიცდი მუშაობის პროცესში?

- ყველაფერი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოდის. სრულიად პატარა ვიყავი, როცა დეიდას, დოლო გარსენიშვლის, ხელებში გაფაციცებით შევყურებდი და ვაკვირდებოდი, როგორ კერავდა კაბებს.

ერთი სული მქონდა, მისი ხელის მოძრაობები გამემეორებინა, მიწოდდა მასავით ყოჩაღი ვყოფილიყავი. დეიდა ცნობილ სამოდელო სააგენტოში - „თიკო და ნინი“-ში მუშაობს და საკმაო წარმატებითაც ართმევს თავს თავის საქმეს, ის სააგენტოს წამყვანი სპეციალისტია. ვფიქრობ, მეც მისი ნიჭი გამომყვება და ამ კუთხით ჩემი სერიოზული ინტერესი მისი დამსახურებაა. შემოქმედებით პროცესი ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მამშვიდებს და სიცოცხლეს მიათმაგებს. ფაქტურად ეს ის საქმეა, რომელიც მთელი ჩემი ცხოვრება მინდა ვაკეთო.

- რამდენადაც ვიცი, სხვა პროფესია არც ავირჩევია. როგორ ფიქრობ, გამართლებს მომავალში შენი არჩევანი? მოგეხსენება, დიზაინერობა და, მით უმეტეს, საკუთარი სააგენტოს გახსნა ადვილი საქმე არაა, მას დასაწყისში დიდი თანხები ესაჭიროება!

- თავდაპირველად ევროპაში მცოდნეობაზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ ბოლო წელს მშობლების სურვილსაც შევნიშნა და იმ პროფესიას მივანიჭე უპირატესობა, რაც ჩემმა შინაგანმა ხმამ მიკარნახა. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამ სფეროში ძალიან კარგი მომავალი მექნება. ადამიანს რაც უყვარს, ის საქმე უნდა აკეთოს. ხოლო იმ საქმეში, სადაც სიყვარულია ჩადებული, დიდი წარმატებაც უეჭველად მოვა. ამის ღრმად მჯერა და ყველაფერს გა-

ვაკეთებ, თავდაუზოგავად ვიშრომებ იმისთვის, რომ შედეგი მივიღო.

-თუ კითხულობ ან ეცნობი ხელოვნების შესახებ ლიტერატურას, ანდა, რომელიმე დიზაინერის შემოქმედებას თუ აფასებ?

- დიზაინერების შემოქმედებას ძირითადად ინტერნეტით ვეცნობი, რაც შეეხება შეფასებას, ჯერჯერობით შემიფასებლად ვერ გამოვდგები. ახლახან გამოვიდა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, წიგნი ლუკა მარკოზაშვილის შემოქმედების შესახებ, ავტორის ნამუშევრები პატრიარქის კურთხევითაა გამოსული. მისი გაცნობის შემდეგ დავუკავშირდი თავად ავტორს, რომელიც „ხელმარჯვითა კლუბს“ აყალიბებს და გავწევრიანიდი ამ კლუბში. ლუკა მარკოზაშვილი მათის თვეში აპირებს კლუბის წევრების ნამუშევრების გამოფენას, სადაც მეც მიმინვევენ და, რა თქმა უნდა, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

- აკაკი გელოვანს თავის წიგნში „მარად ცოცხალი ხელოვნება“ ნათქვამი აქვს, რომ ხელოვნება არის დროში შეჩერებული მარადისობა, შენ რას დაარქმევდი ხელოვნებას?

- ხელოვნება არის ნიჭი, რომლითაც ადამიანს შეუძლია თავისი, და არა მარტო, თავისი ცხოვრება გაილამაზოს. კარგია, ვისაც ეს ნიჭი აქვს. ხელოვანი ადამიანი ყოველთვის განსხვავებულია და ყველას არ ჰგავს.

წარმატებებს ვუსურვებთ ეროვნულ გამოცდებზე ახალგაზრდა ხელოვანს. მომავალში კი ვისურვებდით, ესახელე ბინოს არა მარტო მშობლები, არამედ ჩვენი რაიონიც.

ლალი მახრიშვილი



# მშრომელთა დღის არაერთგვაროვანი ელფერი

1886 წლის 1 მაისს ჩიკაგოში ფაბრიკა - ქარხნების მუშები გაიფიცნენ, გამართეს დიდი აქცია და დააყენეს მოთხოვნა - 8 საათიანი სამუშაო დღე 15 - ის ნაცვლად. ეს იმ დროის ძალზე აქტუალური და გადაუდებელი მოთხოვნა გახლდათ, რადგან მაშინ, ინდუსტრიული ბუმის ხანაში, კერძო თუ სახელმწიფო ფაბრიკის ხელმძღვანელობა სასტიკ ექსპლუატაციას უწევდა სამუშაო ძალას. როგორც წესი, სამუშაო დრო განსაზღვრული არ იყო და ხშირად 10, 12 ან სულაც 15 საათს გრძელდებოდა. ჩიკაგოს მუშათა გამოსვლას სხვა ქვეყნის მუშებმა დაუჭირეს მხარი, რადგან ეს საერთო სატიკივარი იყო - არანორმირებული სამუშაო დღის პრობლემა. სულ მალე 1890 წელს ეს მოძრაობა იმდენად გაძლიერდა, რომ რუსეთში 1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ გამოაცხადეს.

საბჭოთა კავშირში 1 მაისი ფაქტიურად სახელმწიფო დღესასწაული გახდა. ის ხალხმა შეიყვარა, მაგრამ არა მშრომელთა სოლიდარობის” გამო, არამედ უფრო იმი-

ტომ, მაისის დღესასწაულები(უქმეები) შესაძლებლობას იძლეოდა ადამიანებს გაეცნებინათ საუკეთესო შრომითი ტრადიციები, ქალაქიდან 2-3 დღით სოფელში წასულიყვნენ, მინაზე ემუშავათ და, ბოლოსდაბოლოს, მამაპაპურად ექეიფათ ჩაქაფულზე..

ზოგიერთ ქვეყანაში(სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) 1 მაისი დღესაც სახელმწიფო დღესასწაულია. იქაური პროფკავშირები ორგანიზებას უწევენ სახალხო წარმოების გამოფენას, ფართო მოხმარების საგნების გამოფენა - გაყიდვას შემცირებული ფასებით, თვითშემოქმედებითი და პროფესიული სამუშაო კოლექტივების გამოსვლებს. სხავაგან, სიცილიაში ამ დღეს თუ ხალხი მასობრივად კრფს და ახლობლებს ჩუქნის მინდვრის ყვავილებს, ბერლინში, პირიქით, არეულობაა. ბერლინის პოლიციისთვის 1 მაისი “შავი დღესასწაულია” - მრავალრიცხოვანი პარტიები და მოძრაობები(ექსტრემისტები და გლობალისტები) ატარებენ მიტინგს, რომელიც

ჩხუბით და ცხვირპირის მტკრევით მთავრდება.

საინტერესოა, როგორი ახსოვთ და რას ფიქრობენ ამ თარიღზე - 1 მაისზე დედოფლისწყაროელები: მზია, 45 წლის: „ჩემს ბავშვობაში და შემდეგაც, ყველას ძალიან გვიყვარდა ეს თარიღი, რადგან ამ დღეს ვმზიარულობდით და დიდი ხნის უნახავ ადამიანებს ვნახულობდით“. ლევანი, 25 წლის: “1 მაისის სადღესასწაულო ელფერი ჩემთვის უცხო განცდაა. ჩემს ცნობიერებაში ეს თარიღი საბჭოთა წყობილებასთან და იმპერიულ მანქანასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე ზეითან“. თამარი, 50 წლის: “მე თუ მკითხავთ, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე საქართველოშიც უნდა აღინიშნებოდეს. მთელი მსოფლიო აღიარებს ამ დღის მნიშვნელობას და ჩვენ მაინცდამაინც რატომ ვხედავთ მასში საბჭოთა გადმონათეს, ვერ ვხვდებით?“

მიხეილ მღვრიშვილი



# ბოშების ქართული სინამდვილე

1 მაისს მსოფლიოში ბოშათა დღე აღინიშნა. ეს თარიღი საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა განსაკუთრებულად აღნიშნა. სახალხო დამცველის აპარატისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით ეს დღე საგანგებო ღონისძიებით აღინიშნა, სადაც დედოფლისწყაროში მცხოვრები ბოშებიც მრავლად მონაწილეობდნენ. ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა მოსწავლეებმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოეთში ჩასახლებულმა ბოშებმა ღონისძიების ფარგლებში სპეციალურად მომზადებული სპექტაკლი, სახელწოდებით „ვარსკვლავებიჭუნა“ წარადგინეს.

ლი ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ლიტერატურა, ღონისძიების — „ბოშები საქართველოში“ ფარგლებში გამოფინეს. დამთვლიერებელს 1 მაისიდან ბოშების პორტრეტების ნახვაც შეუძლია. „ბოშები საქართველოში“ — ამ სახელწოდების ღონისძიების



მეორე საჯარო სკოლა ერთ-ერთია, სადაც ყველაზე მეტი ბოშა სწავლობს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წევულებათა დარბაზში სახალხო დამცველმა საზოგადოების წინაშე ერთგვარი ანგარიში წარმოადგინა და აღნიშნა, რომ საქართველოში ათასამდე ბოშა ცხოვრობს, რომელთა მდგომარეობა მძიმეა. ისინი ჩვენს ქვეყანაში გარკვეული სტერეოტიპების გამო განყენებულ და მარგინალურ ჯგუფებად ითვლებიან.

გარდა ამისა, თავად ბოშებსაც აქვთ განათლების და იურიდიული პრობლემები, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მონაწილეობა არიან.

გიორგი ტულუშის განცხადებით, საქართველოში ყველაზე მეტად ნაკლებ ინტეგრირებული ბოშათა ეთნიკური ჯგუფი იმყოფება, ვინაიდან მათთვის არანაირი რესურსი არ არსებობს, რათა შეინარჩუნონ თავიანთი თვითმყოფადობა და იყვნენ საქართველოს სხვა მოქალაქეების მსგავსად საზოგადოებაში ინტეგრირებულნი.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართველი ფოტოგრაფების მიერ ბოშათა ჩასახლებებში გადაღებული ფოტოების გამოფენაც გაიმართა.

ღონისძიება გახსნეს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა. ასევე გაიმართა უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) წარმომადგენლის გიორგი სორდიას კვლევის პრეზენტაცია საქართველოში ბოშების უფლებრივი და კულტურული მდგომარეობის შესახებ. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო ფოტოგამოფენა „ბოშების პორტრეტები“.

„ტოლერანტობა საქართველოში“ — ასე ჰქვია ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში კუთხეს, სადაც ეროვნული უმცირესობების შესახებ წიგნები გამოფინა.

ეროვნული უმცირესობების შესახებ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობისა და ეროვნუ-

ფარგლებში 1 მაისს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ საქართველოში ბოშების უფლებრივი-სტრუქტურული მდგომარეობის შესახებ ჩატარებული კვლევის პრეზენტაციაც გაიმართა.

„ჩვენ ბიბლიოთეკაში ვხსნით ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის განკუთვნილ მუდმივმოქმედ კუთხეს, სადაც ერთის მხრივ წარმოდგენილი იქნება უმცირესობების სიმბოლიკები, მეორე მხრივ წიგნები და განახლებადი მასალა. ეს ყველაფერი ეროვნული ბიბლიოთეკისა და სახალხო დამცველის ფონდის მემორანდუმში იქნება მოქცეული, რომელიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ხელშეწყობას ითვალისწინებს.“ — განმარტავს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე.

„ეს სპექტაკლი მოვამზადეთ დედოფლისწყაროში, მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და სოფელ ლენინოვკის, დღევანდელი ჭოეთის მაცხოვრებელი ბოშების მონაწილეობით. მათ წარ-



მოადგინეს ოსკარ უაილდის სპექტაკლი „ვარსკვლავებიჭუნა“, რომელიც მოგვითხრობს სიკეთეზე. ამ წარმოდგენის მზადების დროს მთავარი იყო პროცესი და არა შედეგი. მათ ძალიან უხარიათ, რომ სპექტაკლს ერთობლივად აჩვენებენ მაყურებელს. მთავარი ისაა, რომ ისინი როლებს თავად ინანილებენ და მუშაობის დროს მეგობრდებიან.“ — აცხადებს სპექტაკლის რეჟისორი ლელა ცქიტიშვილი. ის „სამოქალაქო აქტიურობის ხელ-

შეწყობის პროგრამის“ კოორდინატორია. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სპექტაკლი „ვარსკვლავებიჭუნა“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გასული წლის 26 ნოემბერს „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებშიც გამართეს. მაშინ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლამ თეატრალურ ფესტივალში გამარჯვება მოიპოვა.

შეგახსენებთ, „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამას“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2007 წლიდან წარმატებით ახორციელებს. პროგრამის მიზანი სხვადასხვა სოციალური ფენისა და წარმომავლობის მოზარდების დამეგობრება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართვაა.

ცნობისათვის: ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლა ერთ-ერთია, სადაც ყველაზე მეტი ბოშა მოსწავლე ირიცხება. წერა-კითხვა არც მათმა მშობლებმა იციან, ამდენად, მათი სკოლაში შეყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იმის გამო, რომ ისინი რაიონული ცენტრისგან საკმაოდ მოშორებულნი არიან და სხვა სოფელში ცხოვრობენ, სკოლაში სიარულს ვერ ახერხებდნენ, თუმცა, ბოლო დროს მათ სპეციალური სასკოლო ავტობუსი ემსახურებათ, რომელიც ბოშა ბავშვების ტრანსპორტირებას ყოველდღიურად უზრუნველყოფს.

ილია მარტყოფლიშვილი

## სკოლებს შორის კონკურსი დასრულდა

1 მაისს, 18 საათზე დასრულდა ფოტოკონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე, რომელშიც ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლებიც მონაწილეობდნენ. ამასწინათ, გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ რეგიონის სკოლებს შორის ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა წამყვან პოზიციას ინარჩუნებდა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იუნწყება, რეგიონულ სკოლებს შორის დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა მეორე ადგილზე გაიდა და საბოლოო ჯამში საკონკურსო ფოტო „ჩვენ ვებრძვით შდსს“ 4 536 მოწონება დააგროვა, ხოლო პირველი ადგილი წილად ხვდა ქალაქ ხაშურის №8 საჯარო სკოლას.

კონკურსის მსვლელობისას დედოფლისწყაროს პირველი სკოლა რე-

გიონებს შორის წამყვან პოზიციას ბოლო დრომდე ინარჩუნებდა, თუმცა ბოლო პერიოდში ხაშურის სკოლის საკონკურსო ფოტო დანინაურდა. კონკურსის ბოლოს ქალაქ ხაშურის №8 საჯარო სკოლის საკონკურსო ფოტოსურათმა 6 240 მოწონება დააგროვა.

დედაქალაქის სკოლებს შორის კი ლიდერობა არავის დაუთმო ქალაქ თბილისის №145-ე საჯარო სკოლის ფოტოსურათმა, რომელმაც მთლიანად 6 905 მოწონება მოაგროვა.

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის საკონკურსო ფოტოსურათმა „NO SMOKING“ კონკურსის დასრულების მომენტამდე 226 მოწონება დაიმსახურა. შეგახსენებთ, მეორე საჯარო სკოლამ ფოტოსურათის მომზადება ოდნავი დაგვიანებით შეძლო, რის გამოც განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოგვიანებით ჩაერთო.

კონკურსის წესების თანახმად, „ლაიქების“ რაოდენობის მიხედვით ერთი გამარჯვებული სკოლა გამოვლინდა თბილისის მასშტაბით, ხოლო მეორე გამარჯვებული სკოლა Facebook-ის მომხმარებელთა თხოვნით გამოვლინდა საქართველოს დანარჩენი რეგიონებიდან ასევე „ლაიქების“ რაოდენობის მიხედვით და შეფასდება სოციალური ქსელის მომხმარებლის მიერ.

განათლების მინისტრის დიმიტრი შაშკინის ინიციატივით, გამარჯვებულ სკოლებს სამინისტრო გაუკეთებს თანამედროვე ახალი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს ან მოედანს.

დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლის ადმინისტრაციებში აცხადებდნენ, რომ ამ კონკურსში გამარჯვების მოპოვება მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, რადგან მათ სკოლებს ამ დრომდე არ აქვს

სპორტული მოედანი. პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მათა ლაპიაშვილი აცხადებს, რომ მათი სკოლა სპორტულ დარბაზს საჭიროებს. იგივე განცხადებას აკეთებს „შირაქთან“ საუბარში მეორე საჯარო სკოლის ახლადდანიშნული დირექტორიც. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ფეისბუქის გვერდზე დაახლოებით ანალოგიური შინაარსის კონკურსს აცხადებს ამჯერად საქართველოს პრემიერმინისტრი ნიკა გილაური. ფოტო-კონკურსი სკოლებს შორის - „ჩემი საყვარელი სპორტი“ პირველ ივნისამდე გაგრძელდება. კონკურსის პირობების თანახმად, გამარჯვებული სკოლა პრიზს არსებული ჩამონათვალიდან თავად აარჩევს. დედოფლისწყაროს პირველმა საჯარო სკოლამ ამ კონკურსში იგივე ფოტო, განახლებული ინტერპრეტაციით წარადგინა, ხმის მიცემა უკვე დაწყებულია. სკოლის ადმინისტრაცია სოციალური ქსელის მომხმარებლებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ასი წლისას არ ვიქნები ბებერი...



9 მაისს თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს. მეორე სამამულო ომის ყველა მონაწილე ვულოცავთ გამარჯვების დღეს და გთავაზობთ ინტერვიუს ომის ვეტერანთან, რომელიც ამ სტატიის გარდა სოფლის კოლორატის წოდებასაც ფლობს.

როგორ მოგმართოთ, ბატონო ჩემო, მიხეილი ხართ თუ..

– ნუ მოგერიდება, შეილო, რაც თავი მახსოვს, ბუღდანა მქვია, ჩემთვის მიხეილი არავის დაუძახია. ასი კაცი რომ მოადგეს ჩემს ჭიმკარს და გაჰკიდონენ “ჰაი, მიშაო”, ყურსაც არ შევიბერტყავ, მაგრამ “ჰაი, ბუღდანო”, ერთხელაც რომ შემომძახოს ვინმემ, ძილშიც გავიგებ და გავეხმინებო.

– მეტად უცნაური სახელია “ბუღდანა”, ვინ და რატომ დაგარქვით?

– სულგანათლებულმა ჩემმა დეიდა მანამ თქვა თურმე, ახალმოლოდინეული უფროსი დის სანახავად რომ მოვიდა და აკვანში მწოლიარეს დამხედა, რა გაბუღლულია, ამას შემოვევლეო და, ასე შემერჩა ბუღდა-ბუღდაობაში ეს სახელი.

დაახ, არბოშიკი ვისაც გინდა ჰკითხოთ მიშა ჩიბუხაშვილი ვინ არის, ან სად ცხოვრობსო, თითქმის ვერვინ მიგასწავლით, ბუღდანას ხეწინაზე კი ყველას ღიმილი გადაუფლის სახეზე და... ეგ კაი კაცი, ჩვენი სოფლის კოლორეტი და უხუცესი ადამიანი “ბოგირს” რომ გადახვადი, მაღალი, ხელმარცხნივ ცხოვრობსო, - გეტყვიან. უხუცესიო რომ იტყვიან, თქვენ ნუ წარმოიდგენთ, მკითხველო, რომ მიხვალთ და ყავარჯენზე დაყრდნობილი, ნე-ლათრეული მოხუცი დაგხვდებით. არა, მიუხედავად იმისა, რომ ბუღდანა პაპა, როგორც მას ნახევარი არბოშიკი ეძახის, ოფიციალურად 93 წლისაა, ხოლო ბიოლოგიურად 97 წლის, წელგამართული, საღად მოაზროვნე, წარსულის პუნქტუალური მცოდნე და საინტერესო მთხრობელია. ახლა მუხლს არ იკითხავთ?! ჯერ ნათელიც რომ არ არის ჩავარდნილი, იმ დროს დგება და თავის ცხენის “ტაჭკას” ( ისეთი დაზეთილ-გამართული აქვს, იმის ჭრიალს ვერ გაიგონებთ) “გზირიანისკენ” მიმავალ გზას გაუყენებს ყოველდღე. რიყრაჟზე უკვე ადგილზეა. მისი ვენახის და ბაღ-ბოსტნის ნახვას არაფერი სჯობს. 27 “პლანი” ვენახი აქვს, სულ თავისი ხელით გაშენებული-აშენებული, პატარა “სახლიც” უდგას, შიგ რა იარაღს არ ნახავთ, განა ერთსა და ორს: ბარები, თოხები, ფოცხები, ფინლები, ცულეები, წალდები, წერაქვები, ცულეები, ნამგლები, ჩაქურჩები და სხვასაც ბევრი წერილმან-მსხვილმანი. ნათესაულობა — საუკეთესო, ბაღჩეული და ბოსტნეული, ხეხილი წირო-წირო. ერთი სიტყვით, სამოთხის ბალი აქვს და ვეღვაფერს, ასაკის მიუხედავად, სულ თავად უფლის და უძღვება.

ბოლო ორიოდ წელია, ხელე-ბს მალა სრულყოფილად ვეღარ ვენევი, თანაც მარცხენა თვალში ის ოხერი “კისლატა” შემესხა შემთხვევით და მხედველობა წამართვა, ამიტომ, ხანდახან ოჯახის წევრებს ან ვინმე ვენახის კარგ მცოდნე

ადამიანს მოვიხმარებ-ხოლმე, აბა, უცოდინარს ვენახში როგორ შევუშვებ და გავაღორჯინებ, ესეც მშურს ჩემი თავისთვისო, - ამბობს ას წელს მიტანებული, შრომასა და ჯავაში გამობრძმედილ-გაკაჯუბული კაცი. შრომა და ჯავა კი მართლა არ აკლდა მის ბიოგრაფიას, რომელიც, ერთი ადამიანისათვის ნამდვილად დიდი ტვირთია:

– მამა არ მახსოვს, სოლომონი რქმევია, დედას მარია ერქვა- არბოშიკელი ფაციაშვილების ქალი იყო. მამა მეცხვარე კაცი ყოფილა, დაჟეჟილობა გამოიწვევია და, ალბათ ახლა “კიბოს” რომ ვეძახით- ის იყო, მაშინ რა იცოდნენ და ასე გარდაცვილია ახალგაზრდა კაცი. სამი შვილი დავრჩით დედაჩემს, უფროსი ძმა ალექსი, მე და ჩემი და სალომე. რამოდენიმე ხანს და-ძმები უმართავდნენ ხელს ( ექვსნი იყვნენ სულ, ორი ძმა და ოთხი და), მაგრამ მათაც ოჯახები ჰქონდათ, სამ-სამი, ოთხ-ოთხი შვილი ჰყავდათ სარჩენი, ბოლოს უთქვამთ, გათხოვდი დაო, პატრონი იშოვეო. მაშინ ქვრივად დიდხანს არავის აჩერებდნენ. კვანჭილაშვილების კაცი იყო ჩემი მამინაცვალი, თან პატარა ბიჭი ლადო მიიყოლა. დედაჩემმა შვილივით მიიღო. გვიჭირსო და მამინაცვალმა კაბალზე ნამიყვანა 10-12 წლის ბაღი, იქ ერთ ოსის კაცს მიმცა მოვამაგიკრედ, საქონელს ვმწყეპებოდი, ახლანდელი ვაშლოვანის ნაკრძალის მიდამოებში გვედგა ნახირი, “ალესილების” ფერდობზე ფეხშიშველი დადევდი ცხვარ-ძროხას, ღამე საცალოში (მატყლის ბანრისაგან მჭიდროდ მოქსოვილი დიდი ტომარა) მეძინა. სკოლა და სწავლა ჩემთვის არ იყო, ზამთარ-ზაფხულ ვმრძობდი, სხვა გზა არ მქონდა. ის ჩემი მამინაცვალი მალევე წავიდა ოჯახიდან და თავისი 4 წლის ბიჭიც დედაჩემს დაუტოვა მისასხვად. მე თავდაუზოგავად ვცდილობდი, დედას ამოვმეველებოდი. სახლში რომ მოგბრუნდი, 1941 წლის გაზაფხული იყო. “მეტრიკა” არ მქონდა, ვარაუდით 1920 წელში დაბადებულად გამაზარეს და 7 მაისს საავადმყოფო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. მეერე, როცა საპენსიო ასაკი მომივიდა, არქივში აღმოჩნდა მირზანის სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნი, სადაც 1916 წელს ვიყავი გატარებული; მიხეილ სოლომონის ძე ჩიბუხაშვილი დაბადებული 1916 წლის 25 თებერვალსო. საბუთებში ისევე 1920 წელს დაბადებულად დამტოვეს, აბა 4 წლის განაცდურ პენსიას ხომ არავინ ამინა-ზღაურებდა?! ისე რომ, ავტორად, მე ახლა 97 წლისა ვარ, - გვიყვება თავის ბიოგრაფიას ბუღდანა ძია და არც თარიღი, არც სახელი, არც მოვლენა არ ეძღვება.

–1941 წელს თუ არმიში გაგინვიეს, ალბათ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ხართ?

– ექვსი წელი გავატარე ჯარში, მაგრამ ერთი ტყვია არ გამისერია, ერთი კაცი არ მომიკლავს. ალბათ ეს ბედისწერა იყო, სულ “რაბო-ჩი ბატალიონში” ვიყავი. შრომა კი, იცოცხლეთ, ძალიან დიდი გვექონდა, წინა ხაზზე ყოფნაზე ნაკლები როდი იყო?! გუშინდელ დღესავით მახსოვს, ლიტვაში მომისწრო ომმა, მდინარის პირას ვიდექით და “პარტიანებს” (ფესხახევეები)

ვირეცხავდით. ატყდა ალიაქო-თი, გადათვლიდნენ ჯარისკაცებს, შესხავდნენ მანქანაზე და აგზავნიდნენ წინა ხაზზე. ძალიან კარგი, გონიერი “პოლიტბელი” გვეყავდა. ის მივიდა მეთაურთან და უთხრა: – ეს ახალწვეულები, რომლებსაც ჯერ ფიციც კი არ მიუღიათ და, ფაქტიურად, საომარი მოქმედებების ანა-ბანა არ იციან, ფრონტის ხაზზე სულ ერთბაშად ამოწყდებიან, იქნებ სჯობია, მუშათა ბატალიონში ჩავრიცხოთო. იმანაც მოუწონა წინდახედულება და... ასე ვიარეთ ლიტვიდან მოსკოვამდე ფეხით. ყველაფერი გვაკლდა - სასმელ - საქმელი, ტანსაცმელი, სამუშაო იარაღი... მაგრამ დისციპლინა გვექონდა მტკიცე და, კარგი დედამიძეობი იყავ, ბრძანებას არ დამორჩილებოდი. რწმენაც გვექონდა, რომ უნდა დაგვეცვა ჩვენი ქვეყანა, რომელსაც უსამართლოდ უპირებდა დაპყრობას ჩვერმანია. ვთხრიდით აკოვებს, ნანგრევებისაგან ვმწმენდით და ვესმარებოდით დაბოვისაგან დაზარალებულ მოსახლეობას. ჩვენ თავად მშიერ-ტიტვლები, სხვებზე ვზრუნავდით. ერთხელ რკინიგზის სადგური დაბომბეს, თვალწინვე წელი ხე-ტყის შტაბლები იდგა, სულ ჰაერში ასწია, და როცა ცოტა მიწყნარდა იქაურობა, დავინახე თაველი ვაგონი შავი “ბუხანკა” პურით იყო დატვირთული. ორი ცალი ავიღე, მეტი ვერ გავებდე, გაგიჟდნენ სიხარულით ბიჭები, სულ ლუკმა-ლუკმა გავინაწილე. ზამთრის პირი იყო, ცოდა, შემოვხვით მოყინული კომბოსტოს მოზრდილ თავს წავანყდი, ავიღე და ღამე თავით დავიდე, რომ ჩემი სიმზურავლით გამელო, დილით ბიჭებს სულ ფოთოლ-ფოთოლ და-ვურიგე. საქმელი ძალიან გვიჭირდა. ერთი ჩვენბური ბიჭი იყო ჩემს ბრიგადაში, მეთაურის “პაიოკიც” მას ჰქონდა სატანებლად მიზარბული, საწყალს მოთმინებამ უღალატა თურმე და თავისი წილი რომ შეეჭამა, მეთაურისაც ზედ მიაცოლა. ეს რომ გაიგო მეთაურმა, განრისხდა, გადმოიღო თოფი, შეაყენა ჩახმახი და დაუყვირა: – მოგვალე, შე ძალისშეილი და იმ ტბაში გადაგაგდე, საფლავიც არ გელირსებაო. ისეთი გაშმაგებული იყო, ვატყობდი, უკან არ დაიხედა. ჩველი ამიღულდა, ჩემი ქართველი უნდა მოეკლა, შიმშილით დაბრმავებულს. მაშინ მეც შევაცენე თოფი და დაუყვირე: - შენ თუ მაგას ესერი, მე შენ გესვრი-მეთქი. ეტყობა, მეც ისეთი გამხეცებული სახე მქონდა, ეჭვი არ შეგებარა, რომ ვესროდი და თოფი დაუშვა. ეს, რა მოსთვლის იმ წლებს თავდასაგებლად... ალბათ ბედი ჩემი, თორღე იქ ისეთი ბიჭები დარჩნენ, ჯიბეში ჩამისვამდნენ.. რთული ომი იყო, მაგრამ სტალინის გამჭრიახობა და სიმტკიცემ, რწმენამ, რომელსაც ის ალვიგებდა თითოეული ჯარისკაცის გულში, დაუძლეველი დაგვადლეგინა. ჩვენ გაიმარჯვეთ. არც ჰიტლერი იყო უტვირო, მაგრამ ჩვენმა მამიც აჯობა! – სიამაყით სავსე ამბობს ბუღდანა.

– ომიდან როდის დაბრუნდი?

– ერთი ახალგაზრდა იყო, ვერძიაული გვარად, თიანეთის მხრიდან, 7 კლასის განათლება ჰქონდა. იმან გვიხელმძღვანელა და საქართველოში ჩამოგვიყვანა. ჩვენმა და უმრავლესობამ წერა-კითხვაც კი არ ვიცოდით თავიდან, ჯარში რომ გავგინვიეს. იქ ვისწავლე წერა-კითხვა ქართულადაც და რუსულადაც. დღესაც ჩვეულებრივ შემძლია წავიკითხო და გავიგო როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთები, ასევე რუსულიც. ჯარშივე ვისწავლე მოფრობა.

– სახლში დაბრუნებულს კოლმეურნეობაში მოგინია, ალბათ, მუშაობამ?

– რა თქმა უნდა. ფიზიკურად ვმუშაობდი. ცხენის ფურგანებით და ურმებით ვეზიდებოდით მარცვლეულს წნორის “ზაგო-ხერნოში”, კალოები სავსე იყო მარცვლეულით. უზარმაზარი სხავეები იდგა ხორბლის, ქერის, მზე-სუმზირის. ერთგულად ვმუშაობდით, მაგრამ იმისთანა შეცდომა

ჩავიდინეთ, რომ ჩვენს ცხოვრებას დიდი უარყოფითი კვალი დაამჩნია. ახალგაზრდა ბიჭები ვიყავით და წინდახედულება გვაკლდა. ხორბლის ტომრებით დატვირთული სამი ურემი ჯუგაანსა და ტიბაანს შორის ცარიელ ადგილზე გავაჩერეთ, თითო-თითო ტომარა ავამხეთ, ნაწილი ხორბლისა ღვინოზე გადავცვალეთ, ნაწილი ერთ-ერთის ნაცნობთან გადავინახეთ ოჯახებისათვის. ცხრანი ვიყავით, კარგათ ვიქიფეთ და მეორე დღეს, წნორში ჩავაბარეთ თუ არა მარცვალი “ელევატორში”, ცხრავე დაგვიჭირეს. თურმე იმ ოჯახის მეზობელმა, სადაც დავმალეთ ნაქურდალი, დაგვინახა და დაგვაბუღა. მე თორმეტი წელი მომისაჯეს, სხვებს 7-8-9 წელი. ჩვენ განაჩენი “კასაციაზე” შევიტანეთ - 1947 წლის ზაფხული იყო. თითქმის წელიწადნახევარი დავსტარე ხელახლა გამოძიებას. იმ დროს რუსთავე-ქალაქის დაარსებას ეყრებოდა საფუძველი. რკინიგზა გაწყავდათ, ქარხნებს აშენებდნენ. რა სამუშაოს არ ვასრულებდით. ახლა “დრაბილკები” რა ზომაზეც გინდა, იმ ზომაზე რომ ამტვრევენ ქვას, სად იყო მაშინ. ფეხებს შუა გვეჭირა უზარმაზარი ქვები და დიდი უროებით უფრტყავდით, რომ დაგვემსხვრია. ერთი ფიქრი მქონდა მხოლოდ - ამ საქმიდან როგორმე ჩემი ძმა ალექსი გამეგდო, ჩემზე უსუსტი იყო ფიზიკურად, თან ახალ-შერთული ცოლი ჰყავდა, რომელიც ფეხშიძემდ იყო. მე კი თავისუფალი კაცი ვიყავი, თანაც იმდენი რამ მენახა და გადავტყანა, ამასაც გავუძლებდი. ჰოდა, ჩემს თავზე ავიღე ძირითადი სიმძიმე, ჩვენებს გვაგებინე, მთავარი მოწმე რომ მემოხა, მე ფეხზე ავდგები, იმით მიცნოს და ხელი მე დამადოს-მეთქი. მართლაც, შემოვიდა თუ არა, ფეხზე წამოვხედა და მოსამართლეს ვითხარი, შეკითხვა მაქვს-მეთქი. შენიშვნა მომცა, დავექი ადგილზე, ბევრს ნუ ლაპარაკობო. ის ქალი მიხვდა, რომ ხელი ჩემთვის უნდა დავადო და ასეც მიხვდა. მე ისევე 12 წელი დამიტოვეს. ზოგს ჩამოუკლეს სასჯელი, 3 კაცი კი სულ მათათვის უფლეს, მათ შორის ჩემი ძმაც. სასამართლოს ბოლოს კიდევ ერთი სისულელე ჩავიდინე: როცა მოსამართლემ (ის ქალბატონი კატეშა... იყო) მკითხა, რას ითხოვ საბოლოო სიტყვაშიო, ეშმაკურ-ქაჯურად ვუპასუხე: არც გამიხარია და ვერც გავიხარებ, ახალგაზრდა ქალი ხარ, კაცმა სხვა რა უნდა გთხოვოს, ერთი ღამე შენთან მამყოფა-მეთქი. არა, სულელი და წუნ-კი ადამიანი ნამდვილად არ ვიყავი, ცხოვრების მწარე გამოცდილებაც ბევრი მქონდა, მაგრამ რა ეშმაკი შემეჯდა თავში, ეს რომ ვთქვი ამოდენა მიღეთ ხალხში, არ ვიცი. სასამართლო არბოშიკის კლუბში ტარდებოდა და მთელი სოფელი იქ იყო. შენ იყავ და ეგ მაკადრეო, გაცეცხლდა და რას გაცეცხლდა, ციმბირს აქეთ დაგატოვებინებო და... მართლაც, ჩემს ბედზე კანონი გამოვიდა - ათ წელზე მეტი ვისაც აქვს მისჯილი, საქართველოში ვერ მოიხდის სასჯელსო და.. სად არ ვიყავ, რა მძიმე სამუშაოები არ გავსრულებინებ. აბა, ახლა რომ ადამიანის უფლებები არ დავარღვიოთ და ციხეში ფერადი ტელევიზორები და პიანინოები უდგათ, თუ გინდა სამი დღე სახლში წადი, ოღონდ ისევე დაბრუნდით, სად იყო მაშინ ადამიანის უფლება, მონები-ხეით გავაშუშავებდნენ. პატიმრების ხელით შენდებოდა ომით დანგრეული ქვეყანა. ჩვენც გვეჯეროდა, რომ დამნაშავეები ვიყავით და უნდა აგვეტანა ყველაფერი. ვოლა-დონის არხის და ჰესის მშენებლობაზე ვმუშაობდით, მეერე ტომსკში გადაგვიყვანეს. საშინელება იყო, დახურულ ვაგონში შეგვეყრიდნენ საქონელივით და რამდენიმე დღე-ღამე მივდიოდით, ჭუჭყიანები, მოუვლელი. თავდაუზოგავად ვმომობდი - ერთ დღეში ორი-სამი დღის ნორმას ვასრულებდი და “სროკიც” ასე მეთვლებოდა. ექვს წელიწადში გადახედეს ჩემს საქმეებს და 5 წელი დამატებით შრომის ხარჯზე ჩამეთვალა. უუკვე 1953

წელი იყო. 5 მაისს სტალინი გარდაიცვალა. მთელი ქვეყანა, დიდი თუ პატარა გლოვამ მოიცვა. მათ შორის მეც. დღესაც მიმაჩნია, რომ იმისნაირი კაცი მეორე არ დაიბადება. როცა ლანძღავენ, გული მტკივა. ჰაი, ჰაი, ერთი წამოახედა, ის დაალაგებდა ამ აწენილ-დაწენილ დედამიწას! მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ამისტიაც გამოვიდა. სულ რაღაც თვეა მქონდა დარჩენილი, როცა გამანთავისუფლეს. დაგვრუნდი ოჯახში, ისევე კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა მძლოლად. ცხოვრებაში ისე გამანამა, ციხეში დავიფიცე, ცოლს არ მოვიყვან-მეთქი, მაგრამ არ მომასვენა ჩემმა დამ - სალომემ, ძველანაგვლი ქალი შემერთეს - ზინა ლვედაშვილი. ერთგულად ვენეოდით ოჯახის ჭაბანს. ოთხი შვილი გვეყვოდა, ორი გოგო და ორი ბიჭი. აქაც არ დამინდო წულისოფელმა, მეორე კლასში იყო ნაბოლარა შვილი ვეფხია, პირველი გულყრა რომ დავმართა, იმის შემდეგ ოცი წელი წამალ-ექიმსა და წვალეობაზე გავატარეთ. 27 წლის გარდაიცვალა და იმან წაიღო ჩემი გული. მეერე მეუღლეს დავკარგე.

...მაგრამ დრო გადის, ცხოვრება გრძელდება. ბუღდანა ძია დღეს 3 შვილის მამა, 7 შვილიშვილის და 7 შვილიშვილის პატიმარია. ქალიშვილები ლია და ლამარა ჯავარიძეში არიან გათხოვილები, დათო ბინის შვილია და მამაც მასთან ცხოვრობს, თუმცა თავისი სახლი მაინც აქვს მეზობლად, ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ქალის თხოვას ხომ არ აპირებო? - ეხუმრება დათო. ცუდი არ იქნებოდო, -ცალკეაოდ ზუომოს პაპაა, - ზამთარში ვიჭუჭკებოდითო. ჯერ ნათია და ზინიკო უნდა გაათხოვონ, მიერე პაპის მოსახელე და დიდი სიყვარული მიმოკო ჩიბუხაშვილი უნდა დააქორწინოს. მე გადაგინდითო ქორწილს, ჰპირდება თუმცა, მიშიკო ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და მაგაზე არ ფიქრობს. ის ძიულეობა-ტია. თბილისში სპორტსკოლაში სწავლობს და წარმატებებსაც გეპირდება. ისიც იცის, რომ პაპა ერთხელაც იქნება, დანაპირებს აუსრულებს. მონაგარი არა აქვს თუ რა.. დღე და ღამ შრომობს საუკუნეს მიღწეული ადამიანი და მიაჩნია, რომ სწორედ შრომა არის ყველაფრის მალაში, შრომა და მოძრაობა არის ხანგრძლივი ცხოვრების ერთ-ერთი გარანტი, მოილოდინეთ არც ვაინებოდა და ვილაგის როლს გამოიციხვას სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შრომის უნარიანობის საკითხში, დედაძისი - მარია ფაციაშვილი 103 წლისა გარდაიცვალა. დილით 1 “რუმკა” არაყი, სადილზე ორისამი ჭიქა ნატურალური ღვინო, მოძრაობა და სიცოცხლის წყურვილი, აი რეცეპტი, რომელსაც ბუღდანა ძია გთავაზობს. გაგიკვირდებათ და ამდენ ვაი-ვაგლასში როგორ შეჩრდა ასეთი მესხიერება, როდის მოასწრო ნაეკითხა შევეყვარებინა ქართველი კლასიკოსი მწერლები და პოეტები, დაემსახურებინა ბევრი ლეგენდა და ყოფილი თუ საგმირო ხასიათის ფოლკლორული ლექსი. გამორჩეულად უყვარს შოთა რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა. თითქმის ზეპირად იცის “ვეფხისტყაოსანი”. ერთი სიტყვით, მასთან ყოფნას და ქეიფს არაფერი სჯობია. ცხოვრობს ასე ეს გაუტყებელი ჯანისა და გულის ადამიანი და ღიღინებს: - ასი წლისაც არ ვიქნები ბებერიო.. და ეჭვიც არ არის, ერთად ვიზიემებთ საუკუნის წლისთავს. დღევანდელი ცხოვრებით კმაყოფილია და ამბობს, რომ ასეთ ცხოვრებას, ასეთ ტექნიკურ სიახლეებს და მიღწევებს მის ბავშობასა და ახალგაზრდობაში სიზმრადაც კი ვერავინ ნახავდა, ვისაც ავი არ უნახავას, მან კარგის ფასი არ იცისო.

დაღეს კი, დამდეგ 9 მაისს ვულოცავთ მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ განსაკუთრებულ მონაწილეს, რომელმაც ისე გაატარა ექვსი წელი ჯარში, კაცის ცოდვა არ დაუღვია!

ნაირა მორაპშილი

დასარსული დასაწყისი იხ. "შირაჟი" №12

მარტო უნებდა თუ მგელი ოჯახის დაცვა. ხედავს მგელი გაზაფხულზე მოუკლეს ბრაკონიერებმა. მგლები გარეულ ღორზე სანადიროდ იყენებენ დასუსტებული ან ახალგაზრდა ბურვაკი გარცალკეებიანათ...

ჯად დაუყვა ტყისკენ მიმავალ საცალოფხოს. სოფლის განაპირას, სადაც თუ მგელმა მისი ხბო დაგლოჯა. საქონლის ნაკვალევით ისე იყო აზელილი მინა, რომ მგლის ნაკვალევის გარეშე თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ანდრია ძველი მონადირე იყო. სოფლის სანახებს კარგა გვარაინად გასცდა და არეულებსკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზა თვალთ მიზნინა. მენახიერე უთხრა, რომ მგელი დაჭრა. — კარტყი ვესროლე და ფეხი ათარიაო, — ყურები ჩაქმა სოფლის მენახისის, მალვას ხმა. გუშინ გაცეცხლებულს ამ სიტყვებისთვის დიდად ყურადღება არც მიუქცევია, ახლა კი ეს ნადირობის ნარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტი გამოხდარია. ანდრიამ ნაყინები გადაკეთა და მის გასწვრივ დაიწყო მოძრაობა, იცოდა, დაჭრილი მგელი ძალების დაზოგვას შეეცდებოდა, ნაყინებს გადაკეთდა და სადმე აუცილებლად დატოვებდა კვალს. მართლაც, ერთ ადგილას სისხლის წვეთები დაჰქინდა, კვალს გაჰყავდა და ცოტა ხანში არულებს შეერია. ახლა დაჭრილი მგელი ჭრილობის მოშუშებას შეეცდებოდა, დასაყენებელ ადგილს შეარჩევს და რამდენიმე რამდენიმე ხანს საერთოდ აღარ გამოჩნდება. ამ ახალ კვალზე თუ არ მოგვალა, მერე ვინ იცის, იქნებ სოფელს აღარც გაეკაროს: — ფიქრობდა ანდრია. ახლა მგლის ადგილსამყოფელისათვის უნდა მიეგნო. ახალბედა მონადირისთვის ეს სრულიად შეუძლებელი ამოცანა იყო, მაგრამ ანდრიასათვის, რომელმაც მრავალი წელი ნადირობაში გაატარა, ნადირის მიგნება ახალ კვალზე ძნელი არ იყო. მითუმეტეს, რომ ეს ადგილები ზეპირად იცოდა.

მ გ ე ლ ი

გადადო, ეს ეროვნული საქმეა, ამას ხელის შეწყობა უნდაო და აღარ ნადირობდა. ახლა კი შვილოშვილის გამოზრდილი ბოროლა რომ დაგლოჯეს მგლებმა, შურისძიებისა და ნადირობის უინა ერთიანად შეიპყრო. აუჩქარებლად მიდიოდა, დროდადრო გაჩერდებოდა და კვალს დააკვირებოდა ხოლმე. სოფელში აღარ ჩანდა. მოხუცი დაილალა, თვალმოფარებულ ადგილში ჩამოჯდა და დაისვენა, კარგა ხანია ამ ადგილებისაკენ აღარ გაველი. ანდრია ხარბად ათვალთიერებდა ბუნების უმშვენიერეს ხედებს. მზრუნველი ხელი დასტყობია აქაურობას. შავი მთის ჩრდილოეთ ფერდობებს ნახანძარალი ჭრილობები მოეშუშებინა, ახალგზრდა ტყე



ისეთი ხშირი ნამოსულიყო, რომ გამოუცდელი თვალი ვეღარც კი შეამჩნევდა ნაირებს. გზაზე მიმავალს ორი ხობობი, რამდენიმე კურდღელი და მელაკუდაც შეხვდა: — მომრავლებული ნადირფრინველი, გაიფიქრა ანდრიამ. აქედან ეროვნული პარკის შესასვლელამდე ჯერ კიდევ რამდენიმე კილომეტრიც იყო დარჩენილი, მაგრამ დადებითი შედეგები უკვე პარკის საზღვრებს გასცდნოდა, უხაროდა ანდრიას, უხაროდა ბუნების გაჯანსაღება, მაგრამ მგელი? ეს ოხერი, კვალს შავი მთისკენ რომ ნაეიდეს, მერე რა ვქნა კაცოოო, გაიფიქრა, ამ სიბერეში ბრაკონიერობას ხომ არ დაივწყებ პა? ფიქრიდან


შურგიდან იცავდა ჯგუფს, ყურადღებით ათვალთიერებდა გარემოს და ყოველ წამს შზად იყო საკუთარი ოჯახის დასაცავად. სიკვდილ-სიცოცხლის ამ ორომტრიალში გართულმა ცხოველებმა ვერ შეამჩნიეს ბრაკონიერი, რომლებიც ხეის ყელში ელოდებოდნენ ნადირს. თოფის ხმამ ორგვლივ ყველაფერი გააყრუა. წინ მიმავალი პირველი ნეზი მოცელი ელოდებოდნენ ნადირს. თოფის ხმამ ორგვლივ ყველაფერი გააყრუა. წინ მიმავალი პირველი ნეზი მოცელი ელოდებოდნენ ნადირს. თოფის ხმამ ორგვლივ ყველაფერი გააყრუა. წინ მიმავალი პირველი ნეზი მოცელი ელოდებოდნენ ნადირს. თოფის ხმამ ორგვლივ ყველაფერი გააყრუა.

ასაკის მოუხედევად ანდრია პაპა საკმაოდ უინანი მონადირე იყო და სოფელში იცოდნენ, ის ნადირობიდან ნადვლის გარეშე იშვიათად ბრუნდებოდა. რამდენჯერ სთხოვეს. — ხომ ხედავ ამოგავცდეს მგლებმა, აიღე თოფი, სოფელს კიდევ ერთხელ გამოადევიო, მაგრამ ანდრია ვერუტად იდგა თავის ნათქვამზე, რაც ვაშლოვანის ეროვნული პარკი დაარსდა, იმ დღიდან თოფი გვერდზე

ჯერ ისევ დილაბნელზე წამოდგა ანდრია, საქონელი ბაგამოვე დატოვა, თოფი გაიღო მხარზე და დინ-

სოცენა


ილია პოპიაშვილი



7 მაისი ძალიან მტკივნეული და მძიმე დღეა ჩვენთვის. ამ დღეს შენ სამუდამოდ დაგვტოვე და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლე. სამაგალითო მეუღლე და მამა იყავი, ამიტომაც განვიცადეთ ასე მტკივნეულად შენთან განშორება. თუმცა, დღემდე ისეთი განცდა გვაქვს, რომ შენ ისევ ჩვენთან ხარ, მხოლოდ სხვა განზომილებაში გადაინაცვლე. როცა ძალიან გვიჭირს, ან რაიმე გადაწყვეტილების მიღებაზე


ვორჭოფობთ, ყოველთვის ვგრძნობთ შენს გვერდზე ყოფნას. რომ იცოდე, რა ძნელია შენზე წარსულ დროში საუბარი. მხოლოდ ერთი იმედი გვასულდგმულებს: იმ სამყაროში შეხვედებით ერთმანეთს. მანამდე კი აგინებთ წმინდა სანთლებს და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. მუჟლე ლია, შვილები: ნინო და გინა პოპიაშვილები

ვეფხო და ხვითისო ლიქოკალები



„შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავდა, მისის გაფარდნას ჰგავდა სიკვდილი.“

ში შეფარებული. ძამიკო, ცრემლით ვასველებ ახლა ამ სტრიტონებს და კიდევ ვერ ვაცნობიერებ, რატომ დაგვტოვე, რატომ დატოვე შენი ოჯახი და ოთხი უძვირფასესი შვილი. პატარა ნანუკა 1 წლის იყო, რომელსაც არც კი ახსოვხარ, ახლა კი 14 წლის საოცარი გოგონაა, უფროსი შვილი კობა 20 წლის ვაჟკაცია და მალე მამა გასდება-პირველი შვილიშვილი შეგეძინა და მისარია, რომ შენი შთამომავლობა გრძელდება. მამიკომაც გვილაღატა, შენს გარეშე სამი წელიც ვერ გაძლო, მძიმე ჯვარი ვეღარ ატარა და სამუდამო სასუფეველი შენთან დაიძო. არაფერს უჩიოდა, ერთი შეხედვით ჯან-ლონით საცეს, თურმე გული ანუხებდა. ჩემს ხელში დალია სული. არც მამამ იფიქრა ჩვენზე, მინდის ამხელა ოჯახი ჩააბარა და დედა მეორედ გაამწარა, მან ხომ ამდენ ტკივილს ჩვენი გულისთვის გაუძლო, გმირი დედაა, ფრთაწამოტყვინილი.



ძამიკო, დაბადების დღეს და ამ მილოცვას ანთებულ სანთლებს ვატანთ შენამდე. ილოცე, ძამიკო, შენი შვილებისთვის და მომავალი პატარა ანგლოზისთვის. მამიკო გაგიფრთხილდება და მოგივლის. მშვიდად იძინე მარადიულ სასუფეველში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

ძამიკო, უშენოდ უკვე ცამეტი ტკივილიანი წელი გავიდა. ძალიან გაგვამწარა და მწარედწახვედი ამ ქვეყნიდან. დედიკოსთვის ამ ხნის განმავლობაში მწუხრივ შენ ხარ და ვარსკვლავიც შენ ხარ, მოლოდინიც ხარ, ამ მოლოდინს კი სიზმრად ხილვის იმედი ჰქვია, ლოცვის ძალით შენი სულის უეცრადევა ჰქვია, შენ ხარ დილა, მზე და სხვი მწუხარე დედისჩვეულ-

ვეფხო, 5 მაისს შენი დაბადების დღეა, მაგრამ ჩემთვის დრო გაჩერდა და ისევ 30 წლის ხარ, უამრავ სანთელს დაგინთებთ ამ დღეს და ვილოცებთ შენთვის. ვილოცავთ,

დედა ეთიერ ლიქოკალი, და ნათია, ძმა მიწლია მოჯანაბით; შვილები: კობა, ძამი, ლაშო, ნანუკა.

დაუსრულებელია ფიქრები შენზე. დაბადების დღეს გილოცავთ. 9 მაისი ხომ შენი დაბადების დღეა. 30 წლის გახდებოდი, მუდამ 28 წლისად დარჩენილი შვილი.

რამდენი ცრემლი და ტკივილი მოგიტანა შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ. როგორი ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ძნელია შენი მშობლებისათვის და დისთვის 9 მაისის გათენება.

რაც დრო გადის, უფრო გვენატრები და მონატრება დროსთან ერთად იზრდება. ძალიან მტანჯველია და მწარე ის სიცოცხლე, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია.

ვლოცულობთ იმ იმედით, რომ მომავალში ერთად ვიქნებით.

ჩვენ კი მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ვივლით შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვაილებს, აგინ-

მ გ ე ლ ი

გამოერკვა, ადგა და ნელ-ნელა გაჰყვა ბარდებსა და ბალახებში ჩაქარგულ მგლის ძლიერსმეამჩნევე კვალს. კვალმა მალე მკვეთრად ჩრდილოეთისკენ დაუხვია და დიდი ჩინარის მიმართულებით გაუყვა ჩახრამულ ხეობას. ბუჩქნარი კიდევ უფრო განმირდა. სადაც აქ უნდა იყოს ის რვეულძალი, მონადირულმა ინსტიქტმა ისე მკვეთრად ჩასჩურჩულა ანდრიას, რომ გაკვირვებულმა უკანაც კი მიიხედა. მიიხედა და გაქმდა. ფერდობზე ჩამოშლილი ქვების გროვანზე ორი კარგა მოზრდილი მგლის ლეკვი იდგა მისკენ იყურებოდა. სასროლ მანძილზე იდგნენ ლეკვები, მაგრამ ანდრიამ იცოდა სროლით თუ მგელი დაფრთხობდა, სადაც აქ იქნება, ფიქრობდა ანდრია და სწრაფი ნაბიჯით უახლოვდებოდა ქვების ჩამონაშალს, საიდანაც ლეკვები უკვე გამქრალიყვნენ.

პაპა, როგორც იქნა აიარა აღმართი, მალლობზე დადგა და იქაურობა მოათვალიერა. მონადირის მახელი თვალს არ გამოპარვია ნადირის კარგად გათვლილ ბილიკზე მოძუნძულე სამი მგლის ლეკვი და მათ უკან კოჭლობით მორბენალი თუ მგელი. თოფი მხარზე მიიბჯინა, დაუმიხნა და..

თოფის ხმამ ხმალივით გადაკვეთა ხეობა, მგელმა ერთი კი ამოიხკენკავა და ფერდობზე გადაგორდა. ახლოს მისულს ანდრიას თუ მგელი ვერ კიდევ ცოცხალი დახვდა. ტყეში ფერდობი მოხვედროდა, ნეკები გავიგოჯა და ფილტვები დაეზიანებინა. მგელი ხროტინებდა. მიახლოებულე მონადირის დანახვზე წამოწევა სცადა, მაგრამ მხოლოდ წინა ფეხის ოდნავ გატოკება მოახერხა. სხეულს ძალა მთლიანად გამოსცლოდა, თვალბში კი ტკივილი ჩასდგომოდა.

სტკივა, ამასაც ჩვესნავით სტკივა: — გაიფიქრა ანდრიამ.

მგელი და ადამიანი ერთხანს უყურებდნენ ერთმანეთს. მერე მგელს თვალში ჩრდილი ჩაუდგა, დალოლობით დამძიმებული თავი ოდნავ ასწია და ქვების გროვანზე ჩამოდიო. ანდრიამ ცხოველი დაათვალიერა, წინა ფეხზე ნატყვიარი შენიშნა, — მართლაც მოურტყია შალვას, — გაიფიქრა, მაგრამ ეს რა არის? ეს ხომ ძველი ნახაფანგარია? მგელს ფეხზე ნატყვიართან ერთად ღრმა, მაგრამ კარგად შეხორცებული ძველი ნაირევი ეტყობოდა. — გასაგებია — გაიფიქრა ანდრიამ. საწყალი, გარეულ ნადირზე ვეღარ ნადირობდა და სოფელს იმიტომაც შემოეჩვია. გული დაუმიძიმდა, ნელი ნაბიჯით გაეცალა

მგელს და გეზი სოფლისაკენ აიღო. სხვა მონადირეებისაგან განსხვავებით ხაფანგების ყოველთვის წინააღმდეგი იყო ანდრია. — თქვე დელოცვილებო, თუ ვაჟკაცები ხართ, თქვენი თვალსა და მარჯვე ხელის იმედით ინადირეთ, ვერაგობა და სიცრუე რა საკადრისაო, მაგრამ ვინ უსმენდა ანდრიას. ხაფანგს კი არა ზოგიერთი გაზაფხულზე ნადირობასაც კი არ ერიდებოდა.

ეზოში შესულს შვილოშვილი მოეგება. — მოკალი, პაპა, მგელი? — კი, შვილო, მოვკალი.. — კარგად გიქნია, ანდრია პაპა, ჩემი ბოროლა მოკლა მაგ მგელმა.. — არა, შვილო, ადამიანი საწყისი ყველა უბედურების, ცოდვის და მანკიერების.

დამშუულია ქვეყნიერება, ტყეში კურდღელი რომ არ გაეაჩერეთ და მამში არ შევარჩინეთ ხეს, იმიტომაც დარევია მტაცებელი ჩვენს სარჩო-საბადებელსა და საქონელს. მგელმა კი არა, მე მოგიკალი ის ბოროლა, მე, იმ ბრუცინამა ვეძალამ და ყველამ, მთელმა სოფელმა, წუთისოფელმა.

ანდრიამ ძარღვიანი ხელით მოუჩეჩა შვილოშვილს კულულა თმა და სწრაფად გასწია სახლისკენ, რათა ბიჭს არ შეეჩინა მის თვალზე მომდგარი ცრემლი, არა სისუსტის, არამედ სინაზულის ნიშანია..

კოჭასანს კიდევ უცქირა ბიჭმა პაპას და მერე შურდულივით მონყა ადგილიდან..

სალამო ხანი იყო, მზეს სისხლისფრად შეეღება ცის კიდურები, დაჭრილი და ძალაგამოცლილი ძლივს მიიპარებოდა. ხან ერთ ღრუბელს გამოედებოდა, ხან მეორეს. ფთილეს სისხლსა და სხივების ოქროსფერ ნაგლეჯებს ატოვებდა..

ანდრიამ თვალი მონყევიტა სანახაობას და თებრის გასძახა: — თებრი რა იქნა? — თებრი..

— ბოსტნის ბოლოსაა, რალაც კოცონს ვანთებთ ბავშვებო, ჩაგებედა იქნებ.. ანდრია ნელა მოუყვებოდა აფოფინებული ნიახურის კვლებს. ბოსტნის ბოლოში, ალუჩასთან პატარა ყრილობა შენიშნა. ანდროს სოფლის ბიჭები შეეკრიბა, დიდი რვეული დაეჭირა ხელში და ცეცხლთან ტრიალებდა.

— აბა, ნიკო, შენი ჯერია — გაუღმა რიგში მდგარ ბიჭს, ისიც მედიდურად გამოემართა კოცონისკენ და შეინდისგან გამოთლილ ყვითელი რეზინებით განყობილ სურდულს ცეცხლში უკრა თავი..

რუსუდან ყოჩიაშვილი

კულტურის მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაცია და ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ნატროშვილს დედის გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის X-ბ კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ლალი აბაშიძე თანაგრძნობას უცხადებენ აკაკი გონაშვილს ბებბის შინა ნაცვლიშვილის გარდაცვალების გამო.

ლევან გოგილაშვილი

დაუსრულებელია ფიქრები შენზე. დაბადების დღეს გილოცავთ. 9 მაისი ხომ შენი დაბადების დღეა. 30 წლის გახდებოდი, მუდამ 28 წლისად დარჩენილი შვილი.

რამდენი ცრემლი და ტკივილი მოგიტანა შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ. როგორი ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ძნელია შენი მშობლებისათვის და დისთვის 9 მაისის გათენება.

რაც დრო გადის, უფრო გვენატრები და მონატრება დროსთან ერთად იზრდება. ძალიან მტანჯველია და მწარე ის სიცოცხლე, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია.

ვლოცულობთ იმ იმედით, რომ მომავალში ერთად ვიქნებით.

ჩვენ კი მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ვივლით შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვაილებს, აგინ-

ვეფხო, 5 მაისს შენი დაბადების დღეა, მაგრამ ჩემთვის დრო გაჩერდა და ისევ 30 წლის ხარ, უამრავ სანთელს დაგინთებთ ამ დღეს და ვილოცებთ შენთვის. ვილოცავთ,

დედა ეთიერ ლიქოკალი, და ნათია, ძმა მიწლია მოჯანაბით; შვილები: კობა, ძამი, ლაშო, ნანუკა.

დაუსრულებელია ფიქრები შენზე. დაბადების დღეს გილოცავთ. 9 მაისი ხომ შენი დაბადების დღეა. 30 წლის გახდებოდი, მუდამ 28 წლისად დარჩენილი შვილი.

რამდენი ცრემლი და ტკივილი მოგიტანა შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ. როგორი ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ძნელია შენი მშობლებისათვის და დისთვის 9 მაისის გათენება.

რაც დრო გადის, უფრო გვენატრები და მონატრება დროსთან ერთად იზრდება. ძალიან მტანჯველია და მწარე ის სიცოცხლე, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია.

ვლოცულობთ იმ იმედით, რომ მომავალში ერთად ვიქნებით.

ჩვენ კი მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ვივლით შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვაილებს, აგინ-

ვეფხო, 5 მაისს შენი დაბადების დღეა, მაგრამ ჩემთვის დრო გაჩერდა და ისევ 30 წლის ხარ, უამრავ სანთელს დაგინთებთ ამ დღეს და ვილოცებთ შენთვის. ვილოცავთ,

დედა ეთიერ ლიქოკალი, და ნათია, ძმა მიწლია მოჯანაბით; შვილები: კობა, ძამი, ლაშო, ნანუკა.

დაუსრულებელია ფიქრები შენზე. დაბადების დღეს გილოცავთ. 9 მაისი ხომ შენი დაბადების დღეა. 30 წლის გახდებოდი, მუდამ 28 წლისად დარჩენილი შვილი.

რამდენი ცრემლი და ტკივილი მოგიტანა შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ. როგორი ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ძნელია შენი მშობლებისათვის და დისთვის 9 მაისის გათენება.

რაც დრო გადის, უფრო გვენატრები და მონატრება დროსთან ერთად იზრდება. ძალიან მტანჯველია და მწარე ის სიცოცხლე, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია.

ვლოცულობთ იმ იმედით, რომ მომავალში ერთად ვიქნებით.


ჩვენ კი მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ვივლით შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვაილებს, აგინ-

ვეფხო, 5 მაისს შენი დაბადების დღეა, მაგრამ ჩემთვის დრო გაჩერდა და ისევ 30 წლის ხარ, უამრავ სანთელს დაგინთებთ ამ დღეს და ვილოცებთ შენთვის. ვილოცავთ,

დედა ეთიერ ლიქოკალი, და ნათია, ძმა მიწლია მოჯანაბით; შვილები: კობა, ძამი, ლაშო, ნანუკა.

დაუსრულებელია ფიქრები შენზე. დაბადების დღეს გილოცავთ. 9 მაისი ხომ შენი დაბადების დღეა. 30 წლის გახდებოდი, მუდამ 28 წლისად დარჩენილი შვილი.

რამდენი ცრემლი და ტკივილი მოგიტანა შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ. როგორი ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ძნელია შენი მშობლებისათვის და დისთვის 9 მაისის გათენება.



შენი მშობლები და და.

# ლეგენდა კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში მდგარი თავმოხრილი ხის შესახებ



6 მაისს გიორგობაა. ამ დღეს ისტორიულ შერეულ განსაკუთრებულად აღნიშნავენ. წელიწადში ორჯერ, გიორგობის დღესასწაულზე, ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში ნირვა-ლოცვა აღევლინება. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად ქართველი მრევლიც სტუმრობს საინგილოს. ქურმუხის ეკლესიის გარდა, ნირვა-ლოცვა აღევლინება კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაშიც. ეკლესიის ეზოში ყველას ყურადღებას იპყრობს თავმოხრილი ხე. ამის შესახებ ლეგენდაც არსებობს.

ლეგენდა კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში წმინდანის წინ თავმოხრილი უცხო

ხის შესახებ მეტად ფასეულია. ლეგენდა ასე იწყება: „კახის წმინდა გიორგის ეკლესია ამაყად დგას სოფლის შუაგულში. ირგვლივ ერთგული დარაჯებით ხუთი ცაცხვის ხე შემოხვევია. ეზოს სამხრეთით ფიჭვნარია, სამხრეთ-აღმოსავლეთით ქალთა გიმნაზიის ნანგრევებია (დაარსა სოფიო ყულოშვილმა). ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დგას სამი კვიპაროსის ხე, რაც ისედაც ლამაზ ხედს უფრო მიმზიდველს ხდის. კვიპაროსები სიმაღლის მიხედვით ისეთი თანმიმდევრობით დგანან, რომ შორიდან ერთ ხედ შერწყმის შთაბეჭდილებას ტოვებენ.“

კვიპაროსის ძირში ქრისტიანობის აღმდგენის, ივანე ბულულაშვილის საფლავია. იქვე ორი იდუმალებით მოცული „უცხო ხე“ დგას, ერთ-ერთი მათგანი ნამეხარს ჰგავს, შუაზე გაჩეხილს ერთი ნახევარი თაღისებურად დახრილია ივანე ბულულაშვილის საფლავთან. ეს სურათი ღირსეული მამულიშვილისადმი თავყვანისცემის ზეზუნებრივ გამოვლინებას ჰგავს.

ხალხური წყაროებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ეკლესია აგებულია წმინდა გიორგის ძველი საყდრის ნანგრევებზე, ისტორიული ავბედითობის გამო მრავალჯერ იქნა განადგურებული. საბოლოოდ წმინდა გიორგის ეკლესია აღადგინეს ივანე ბულულაშვილის მეთაურობით. ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს ასეთი ლეგენდა:

„ერთხელ ივანეს ღრმა ძილით სძინებია ერთი კვირის განმავ-

ლობაში, სიზმრად მას ანგელოზი გამოეცხადა და ნათლისღებისაკენ მოუწოდა და უთხრა: „განსაქტავდი, ვითარცა წვერი შენიო“. როცა გაიღვიძა ივანემ, დაინახა რომ წვერი გასათურებოდა, ირწმუნა ანგელოზის გამოცხადება, ფეხით ჩავიდა თბილისში და სიონის ტაძარში მოინათლა. კახში დაბრუნებულს მეორედ ესიზმრა. ამჯერად ანგელოზმა ამცნო, რომ სოფელში ცაცხვების გარემოცვაში მდებარე დანგრეული ეკლესიის აღდგენა ევალებოდა. ღვთის ნებით, ეს დავალებაც შესრულდა.“

მესამე გამცხადებისას ანგელოზმა ივანეს ამცნო, რომ ეკლესიის ეზოში თანმიმდევრულად აღმოცენდებოდა სამი ხე, რაც წმინდა სამებას განასახიერებდა, იმავდროულად ეს იქნებოდა მასზე გადმოსული ღვთის მადლი, რის შემდეგაც ივანეს შეეძლო თავისი თანამომენი ხელახლა მოენათლა. ღვთის ნება-სურვილის ასრულების დროს აღმოცენდებოდა ორი ხე, ნიშნად ქრისტეს ორბუნებოვნებისა. ღვთის ნების შესრულებას შეუდგა ივანე, მას დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდა, მართლაც, კვიპაროსების ახლოს აღმოცენდა ორი „უცხო ხე“, რომლის მსგავსი ეკლესიის ეზოსა და მის შემოგარენში არ მოიძებნება. როცა ივანე ბულულაშვილი გარდაიცვალა, მადლიერმა ხალხმა იგი კვიპაროსებთან დასაფლავა. გვიდა ხანი, ერთხელ გიორგობის წინა საღამოს მოულოდნელად ცა მოიღვრა, გაავდრდა, დაიწყო ქექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა

მოვიდა. შუალამისას დაიჭექა, თითქოს ცა გაიხსნაო. ირგვლივ ყველაფერი განათდა, ციდან ცეცხლის ნაკადი გადმოეშვა და ამ უცხო ხეთაგან ერთ-ერთს დაეცა. ხე შუაზე გაიყო. ნახევარი მლოცველივით საფლავის წინ დაიხარა, ნახევარი კი სანთელივით იწვოდა, შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. დილით, როდესაც მზემ გამოანათა, ხალხი სასწაულის მოწმე გახდა. მაღლა, ცაზე, კვიპაროსების თავზე შვიდფეროვანი ცისარტყელა ეკვროდა ცას“.

ამ ლეგენდაში არსებული ქრისტიანული სიმბოლოების შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი იკვეთება. რიცხვი სამი, რასაც საკრალური დანიშნულება აქვს; ცისარტყელა მსვიდობის სიმბოლო – იმას მოასწავებს, რომ ამის შემდეგ საინგილოში მშვიდობა იქნება. რაც შეეხება კვიპაროსის ხედებს, ეს იგივე ალვის ხეა და ხედებს ხშირად ვხვდებით ძველ ალექსანდრიის აგიოგრაფიულ ძეგლებში. ალვის ხის სიმბოლიკა მზესთან ზიარების გარეგანი გამოხატულებაა, რაც იმეორება ალვის ხის ზეალმავალ სიმაღლეში. არცერთ ტანმალალ ხემცენარეში არ იგრძნობა სიმაღლისკენ ლტოლვის ასეთი დინამიკა და ენერჯია, რა განწყობასაც ტოვებს ალვის ხე. ხე თავისი ფერადოვნებით, თავისი ყოვლისმომცველობით ადამიანის სიცოცხლესთან შედარებით, თავისი უკვდავი არსებობით მშვენიერი ხიდან ღვთაებრივ ხედ იქცა. საქართველოს მთაში შემორჩენილი იყო ხის კულტთან დაკავშირებული

წარმართული რიტუალები, წესჩვეულებები, რომლებსაც ქრისტიანული ელფერი დაჰკრავდა. ქართულ რელიგიურ აზროვნებასა თუ ყოფით ცხოვრებაშიც საკმაოდ არის შემორჩენილი ხის თავყვანისცემის ელემენტები. სწორედ ამიტომ არ შეიძლება, რომ თავისებური ასახვა არ ეპოვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში, სადაც სიმბოლური აზროვნება ძირითადად ბიბლიურია. თვით ბიბლიაშიც ხომ რვაჯამდე ხის სახეობაა მოხსენიებული (რეზო სირაძე, „ქართული ჰაგიოგრაფია“, 1987წ).

წარმართულ საქართველოში არსებული ხის კულტის, როგორც მამრობითი საწყისის გადმონაშთს, ქრისტიანულ საქართველოშიც ვხვდებით, სადაც თითქმის ყველა წმინდა ხე ან ტყე წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. წმინდა გიორგის სახელობა ენობრივი თვალსაზრისით განხილული აქვს ნიკო მარს და სახელდობრ მუხასთან აკავშირებს (ე. ლომია, ვ. ბარდაველიძე, ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, თბილისი 1926 წ.). აგრეთვე აფხაზებს სწამდათ ხის სულის არსებობა, მაგრამ ამ მოაზროვნე სულს მამრობითი საწყისის მიანერდენს (ქეთევან ელაშვილი, ხეათა სიმბოლიკა ძველ ქართულ პროზაში V-XII სს-ის ძეგლების მიხედვით, ავტორეფერატი, თბილისი 1998წ.). სხვა მრავალ ხეებთან ერთად, ალვის ხესაც მხოლოდ წინის ცხოვრებაში ვხვდებით, სადაც ალვის ხე სიცოცხლის ხის მნიშვნელობითაა მოხსენიებული.

**უ ლ ო ც ა ვ ე ნ !**  
**ლეან ბალაშვილს!**  
**თიკო ალადაშვილს!**

გილოცავთ დაოჯახებას. გისურვებთ ოჯახური უღლის მარად ერთად და ბედნიერად ტარებას! გაამრავლეთ თქვენი ჯიში და გენი. უფლის წყალობა არასოდეს მოგკლებოდეთ.

**ს პ ო რ ტ ი**  
**საერთაშორისო ტურნირი**  
**ქიუდოში**

**გიორგი მარაგალიშვილს!**

ჩვენო უსაყვარლესო ბიჭუნავ, გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღმერთი იყოს შენი და შენი ძმის-დიტოს მფარველი ყოველთვის. ორივეს ხომ ერთი გენი გაკავშირებთ.

ბაღურა, ციციწო, ღიბო, ნანა, პაქანი, ნინო, მარიამი, სოფიკო მარაგალიშვილები.

ქალაქ ლაგოდეხში ჩატარდა წარსულში ცნობილი მოჭიდავის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დავით ჩაჩანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ქიუდოში.

როგორც გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრიდან აცნობეს, ტურნირი 1997-1999 წლებში დაბადებული სპორტსმენები ასპარეზობდნენ.

საერთაშორისო ტურნირზე 34 კილოგრამ წონით კატეგორიაში დედოფლისწყაროელმა სპორტსმენმა **გიორგი თინაშვილმა** ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილს სამი მოჭიდავე დასჯერდა.

კულტურისა და სპორტის ცენტრის ცნობით მესამე ადგილზე გავიდნენ 30 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გუგა ნიკლაური**, ნიკა კობაიძე (38 კგ) ხოლო 42 კილოგრამ **ლამა ბექაური**.

სპორტსმენთა გუნდი ტურნირისთვის მოამზადა მწვრთნელმა კახა ნიკლაურმა.

**ი ყ ი დ ე ბ ა**

იყიდება დედოფლისწყაროდან დაახლოებით 3კმ-ის მანძილზე, დიდნაურის ტერიტორიაზე, ფერმა და საწყობი, იქვეა წყალიც. მსურველები დაგვიკავშირდით: TEL: 790 28 31 95; 599 28 31 95

**იყიდება!**

იყიდება 5 ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ბელეტაყზე დედოფლისწყაროში (სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით), 9 ძმის მესამე შესახვი, № 7 (სტადიონთან, მუზეუმის უკან), დიდი ეზოთი და სათავსოებით, ავტოფარეხით.

ტელეფონი: 568 83 97 68

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

**ა მ ი ნ დ ი**

შაბათი 05.05 დღე 17°	ლაშქვა 05.05 ღამი 13°	კვირა 06.05 დღე 18°	ლაშქვა 06.05 ღამი 14°	ორშაბათი 07.05 დღე 16°	ლაშქვა 07.05 ღამი 15°	სამშაბათი 08.05 დღე 16°	ლაშქვა 08.05 ღამი 13°	ოთხშაბათი 09.05 დღე 16°	ლაშქვა 09.05 ღამი 15°	ხუთშაბათი 10.05 დღე 18°	ლაშქვა 10.05 ღამი 16°	პარასკევი 11.05 დღე 19°	ლაშქვა 11.05 ღამი 18°
----------------------------	-----------------------------	---------------------------	-----------------------------	------------------------------	-----------------------------	-------------------------------	-----------------------------	-------------------------------	-----------------------------	-------------------------------	-----------------------------	-------------------------------	-----------------------------

**გამომცემელი შპს „შირაქი“**  
**დირექტორი ინგა შიოლაშვილი**  
**რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**  
 წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: **ლალი მხერბრიშვილი**, ილია მარტყოფლიშვილი (კორექსორდენტები); **მინაილ ბლაზარაშვილი** (სტილისტ-მხეცვერი); **ნათელა მოსტაშვილი** (ბუღალტერი); **ნინო ჯანაშვილი** (ფოტო-მხეცვერი); **მზინა ქანუკიძე** (დისტრიბუტორი); **ზურაბ ბუნაშვილი** (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.